№ 39

სამშაბათი, 29 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათ.მდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 39

სამშაბათი, 29 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი ამ ნომერთან ერთად ურიგდებათ ხელის მომწერლებს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

სამშაბათს, 29 მარტს, დიდი წარმოდგენა იქნება 3 განყოფილებად.

სხვათა შორის, ამ საღამოს გაიმართება **ორი** კავკასიური **ჭიდაობა**. იჭიდავებს ცნობილი ჭიდაობის მოყვარული ჰერკულესი ცნობილ კავკასიელ ფალავან **ბესარიონ ბუზარაშვილთან**. ჯილდო—ვერცხლის საათი. მეორედ იჭიდავებს ცნობილი კავკასიელი ფალავანი, ზოგიერთ ცნობილ დახელოვნებულ ფალავანთა დამმარცხებელი **იოსებ მოთაშვილი** ცნობილ ფალავან **ვანო თარხნიშვილთან** დღეს საღამოს საზოგადოება ნახავს, თუ ვინაა უკეთესი ფალავანი—ვანო თარხნიშვილი თუ იოსებ მოთაშვილი? დასასრულ კომიკური პანტომიმა: **დაწვრილებით** პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1—1

რუსული მოსამზადებელი სასწავლებელი

ვაჟთათვის, ქ-ნ ივანოვისა.

ახლად დაარსებულია ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, ბარქაიას სახლში. 1—1

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში დღის 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე კ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ნუზეში.

ქვევით ვბეჭდავთ ბ-ნ თ. ჟორდანიას წერილს, რომელშიაც ავტორი ცდილობს თავი გაიმართლოს იმ ბრალდებაში, რომელიც მას დასდვა ქართულმა პრესამ და საზოგადოებამ მისივე ,,ანგარიშის'' საფუძვლით. დავბეჭდეთ ეს წერილი, რადგან გვინდოდა საშუალება მიგვეცა ბ-ნ ჟორდანიასთვის, თავის გასამართლებლად რამე ეთქვა და საზოგადოებისთვის თავის მოქმედების ანგარიში მიეცა.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ჟორდანია თავის წერილში ვერ არღვევს მის წინააღმდეგ შედგენილ ბრალდებას და ვერ ამტკიცებს თავის ალალ-მართლობას. შარშან მან დაბეჭდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების ,,ანგარიში'' და ამ ანგარიშში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მეგრული ენა სხვაა, ვიდრე ქართული, და ამიტომ სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა არ უნდა იყოსო. დღეს იგი გვარწმუნებს, რომ ეს ჩემი ნაწერი არ იყო,—„საბჭომ“ შესცვალა და თვისი აზრი შემომაწერაო. ამის გამო „თავის განწირვაც“ კი გავბედე და მაშინვე „პროტესტის“ ქაღალდი შევიტანე საბჭოშიო; შემდეგ ,,გადამახინჯებული'' ადგილი გადავასწორე და ამიტომ იმ დაბეჭდილ ,,ანგარიშში'' ახალი ფურცელი ჩავაკერეო.

ჯერ ერთი, ამის დამტკიცება იმ საშუალებით, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია ხმარობს, არ შეიძლება. ამ მხრით მისი სიტყვების სიმართლეს ჩვენ მხოლოდ მაშინ ვირწმუნებთ, როცა იმ დედანს წარმოგვიდგენს, საიდანაც თავდაპირველად დაიბეჭდა მისი ,,ანგარიში''. დედანის გასინჯვა და მესტამბის გამოკითხვა დაგვანახვებს, რა დაუწერია ბ-ნ ჟორდანიას და რა გადაუსწორებია თავისით საეპარქიო ,,საბჭოს''.

მეორე,—რომ კიდეც დამტკიცდეს, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნი ჟორდანია მართალია, ამით მაინც არ იქნება დამტკიცებული, რომ მას მისი უფროსისათვის ხელი არ შეუწყვია და სამეგრელოში ქართულ ენის წინააღმდეგ არ უმოღვაწნია. გადასწორებულ ანგარიშშიაც თითქმის იგივე არის ნათქვამი, რაც გადაუსწორებელში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა მამა ვოსტორგოვის პირითაა ნათქვამი ის, რაც ,,უარყოფილ'' ანგარიშში ბ-ნ ჟორდანიას აზრად სწერია.

ბ-ნი ჟორდანია კიდეც ეთანხმება და არც ეთანხმება მამა ვოსტორგოვს. დღევანდელ წერილში იგი იცავს თავის უფროსს და გვასწავლის, რომ ,,მამა ვოსტორგოვის აზრი პედაგოგიურ სიმართლეს შეიცავსო'', და იმავე დროს საჭიროდ სთვლის არ დაეთანხმოს იმავე მამა ვოსტორგოვს, რომელსაც აზრი, თურმე, ,,ორჭოფულად აქვს გამოთქმული''. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ მას უნდა თვისი უფროსიც დააკმაყოფილოს და საზოგადოებასაც ერთგულება აჩვენოს.

მაგალითად, მისი ანგარიშის მე-11 გვერდზე, რომელსაც ავტორი დღეს აღარ ,,შლის'' და ამგვარად დღესაც თავის აზრად აღიარებს, სწერია: ,,მას შემდეგ, რაც საოლქო ზედამხედველის თანამდებობა დაწესდა, სამრევლო სკოლებმა ძლიერი მფარველი მოიპოვეს დეკანოზის ი. ვოსტორგოვის სახით. მამა ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით დაწესდა სწორი ორგანიზაცია სასწავლო საქმისა სამრევლო სკოლებში''. ასეთი ადგილები მრავალთ-მრავალია ბატონ ჟორდანიას ,,ანგარიშში''. იგივე ბ-ნი ჟორდანია სწერს მე-43 გვერდზე, რომელსაც იგი არ უარჰყოფს და ,,შეუსწორებლად'' თვისად აცხადებს: ,,რუსის ყველა პატრიოტი აქაურ ხალხის გასარუსებლად სახარების პოლიტიკით'' უნდა ხელმძღვანელობდესო.

ერთის სიტყვით,—და ამას ჩვენ გულის ტკივილით ვაცხადებთ,—ბ-ნ ჟორდანიას კარგად შეუთვისებია ეს პოლიტიკა და ამიტომ ღირსეული ყურადღებაც დაუმსახურებია.

მაგრამ ბ-ნ ჟორდანიას შეუძლიან ინუგეშოს, რომ იგი ერთად-ერთი მაგალითი არაა ,,ქართველ'' ჩინოვნიკებში. ჩინოვნიკი ასრულებს უფროსების ბრძანებას და ამიტომ მხოლოდ ამგვარი ერთგული სამსახურით შეუძლიან დაწინაურდეს.

ბ-ნ ჟორდანიას კი სწყინს, რომ ჟურნალისტებმა მისი ,,დეისტვიტელნი სოვეტნიკობა'' ახსენეს და თვითონ ასეთის სიტყვებით გვიმასპინძლდება: თქვენც არ დაიწუნებდით ამ ძეხვს, რომ შესწვდებოდეთო. რა თქმა, უნდა ჩინოვნიკის გონება ვერ მისწვდება იმას, რომ შესაძლებელია, ქვეყანაზე იყოს ისეთი კაცი, რომელიც არ ეტრფოდეს ღენერლის ჩინს—„დეისტვიტელნი სოვეტნიკობას...“

ქართული ენის გამოდევნა სვანეთის სამრევლო სკოლებიდან

(წერილი სვანეთიდან)

იყო დრო, როდესაც სვანეთის სამრევლო სკოლები სავსე იყო მოწაფეებით, როდესაც ყოველი მოსახლე სიხარულით გზავნიდა თავის შვილს სკოლაში. ეს სახსოვარი დრო იყო, დრო ბ-ნ ევ. მამ—შვილის აქედ მხარეში „ინსპექტორობისა“, რომლის მეოხებითა და მეცადინეობით დაარსდა ყველა აქაური სკოლები. ახლა კი დრონი იცვალნენ: თუ წინად ყოველი მოსახლე სიხარულით გზავნიდა თავისს შვილს სკოლაში,—დღეს, ბევრიც რომ სთხოვოთ, არ უშვებს. ერთი სიტყვით, აქაური სკოლები დაემსგავსნენ შავებ ჩაცმულ ჭირისუფალს, რომლების ყურება მხიარულების ნაცვლად კაცს მწუხარებასა და მოწყენილობას ჰგვრის· და ეს წინანდელი მხიარული სახე სამგლოვიაროდ სულ ამ ორი წლის განმავლობაში შეიცვალა და, აი, რატომ.

ამ ორი წლის წინად სხვადასხვა მიზეზების გამო ბ-ნ ევ. მამ—შვილის დათხოვნისა და სვანეთის სამრევლო სკოლების იმერ. ეპარქ. სამოსწავლო საბჭოს გამგეობაში გადასვლის შემდეგ, გამოგზავნილ იქმნა აქაურ სკოლებში «для точнаго исполненія» (როგორც ერთმა დიდმა პირმა მოსწერა მაშინდელ აქაურ სკოლების მზრუნველს თ-დს თ. თ. დადეშქელიანს) «ახალი პროგრამმა», რომლის ძალითაც ქართულ ენას (რომელსაც წინედ პირველი ადგილი ეჭირა) დათმობილი ჰქონდა მხოლოდ სამი გაკვეთილი, სამი საათი კვირაში. ამგვარი შესუსტება ქართული ენისა, რასაკვირველია, არა სასიამოვნოდ დაურჩათ აქაურ მცხოვრებლებს, რომელთაც სურდათ, რომ მათ შვილებს რუსულის თანაბრად შეესწავლათ თავისი სამშობლო ენა—ქართულიც; ამიტომ თანდათან უკლეს ბავშვების სკოლაში მიბარებას. რამდენიც გნებავთ სთხოვეთ სვანს ახლა, ბავშვი სკოლაში ატარეო, რაც გნებავთ შეჰპირდით—აღარ დაგიჯერებს.

წინად თუ თითო სკოლაში მოწაფეების რიცხვი, ერთიმეორეზე რომ ვიანგარიშოთ, უდრიდა 35-ს, ეხლა ორთაშუა რიცხვით თითო სკოლაში 10-ს არ აღემატება; ესენიც რომ დადიან სკოლაში, მათ დედ-მამას ისე მიაჩნიათ, თითქო თქვენთვის ძალიან დიდი პატივი ეცეთ და თქვენც დაავალებულად უნდა რაცხდეთ თქვენ თავს მათ წინაშე, თუ გნებავთ რომ ეს მცირე რიცხვი მოწაფეებისა მაინც შეგრჩეთ; მაგრამ ან ესენი კი დაიარებიან სკოლაში წესიერად? დღეს მოვა ორი, ხვალ სამი, ზეგ ხუთი, ყველას ერთად თავმოყრილს ძვირადა ნახავთ. თითო მათგანმა კვირაში თუ ორჯელ დაათვალიერა სკოლა, კიდევ კარგია. თუ ამნაირ მდგომარეობაში იყვნენ აქაური სამრევლო სკოლები წარსულის წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც ცოტად თუ ბევრად მათში კიდევ ბჟუტავდა ქართული ენა, ადვილი მისახვედრია, როგორი ბედი ეწევა, ამ სკოლებს ახლა, როდესაც ის ზემოხსენებული ქართულის სამი გაკვეთილიც კი მოსპეს და ამგვარად სრულებით განდევნეს დედა-ენა აქაურ სკოლებიდან.

უნდა ვსთქვათ, რომ ქართული ენის აქაურ სკოლებიდან განდევნაში, სხვათა შორის, დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის აქაურის სკოლების მეთვალყურეს ბლ. მღ. ბეს. ნიჟ—ძეს, რომელიც წარამარად ამტკიცებდა, რომ სვანები ქართველები არ არიანო და ამიტომ მათთვის ქართული ენა არ ჩაითვლება დედა-ენადაო. რომ ზემო ნათქვამი ვინმემ მარტო მშრალ და უსაფუძვლო სიტყვებად არ ჩამომართვას, ამიტომ დავასახელებ, სხვათა შორის, ერთ ფაქტს, რომელიც ნათლად დაამტკიცებს ზემო-ნათქვამს. შარშან გამოცდაზე ამ ზემოხსენებულმა პირმა ჩემი სკოლის მეორე განყოფილების მოწაფეებს სამღვთო სჯულის ცოდნა რუსულად მოსთხოვა; რუსულად კი მოწაფეებმა არ იცოდნენ, რადგანაც მთელი წელიწადი ისტორიების ქართულად სწავლას მოვუნდით და რუსულად სწავლებისათვის კი დრო აღარ დაგვრჩა. ეს იწყინა მეთვალყურემ. მაშინ მე გადვუშალე „პროგრამის'' ის ადგილი (გვ. 4, 1902 წელს გამოცემულ „პროგრამმისა''), სადაც სწერია: მეორე განყოფილების მოწაფეებმა თავდაპირველად საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ მოთხრობანი სამშობლო ენაზე და ბოლოს, თუ დრო დარჩებათ,—რუსულადაც; მხოლოდ დროს უქონლობის გამო რუსულად სწავლება შეიძლება გადაიდოს მესამე წლისათვის“. ეს რომ ვუჩვენე, მაშინ მითხრა: «აბა თქვენ მათთვის (მოსწავლეებისათვის) ისტორიები სვანურად უნდა გესწავლებინათ და არა ქართულად, რადგანაც სვანელებისთვის სვანური არის სამშობლო ენა და არა ქართულიო“. ამის მოწმენი იყვნენ გამომცდელ კომისიის წევრნი: იფარის სკოლის მასწავლებელი დავით ხუციშვილი და ცხომარის სკოლის ყოფილი მასწავლებელი და ახლა კი მღვდელი ივლიანე ჩლაიძე, რომლებიც, თუ საჭირო იქნება, დაამოწმებენ ზემონათქვამს.

აქაურ სკოლების ზემოხსენებულმა მეთვალყურემ თქმაც არ იკმარა და უკვე სისრულეში მოიყვანა თავისი განაჩენი. წარსულის 1904 წ., 17 ნოემბერს იმან ყველა მასწავლებლები ერთად შეგვკრიბა და გამოგვიცხადა: გიცხადებთ თქვენ, მასწავლებლებს, რომ თქვენდამი რწმუნებულ სკოლებში დღეიდან ქართული წერა-კითხვა არ ასწავლოთ. შეგიძლიანთ მხოლოდ ხუცური კითხვა ასწავლოთ. მართალია, ამის შესახებ თვით მე ჯერ ოფიციალური ცნობა არ მიმიღია, მაგრამ თქვენ მაინც დღეიდან არამც და არამც ქართული არ ასწავლოთო.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოგვიგზავნა მის მიერვე ეპარქიალურ მეთვალყურის მინდობილობით შედგენილი გაკვეთილების გაწესრიგების ფურცელი, რომელშიაც ქართული სრულებით გამორიცხულია. ზემონათქვამის დამოწმება სავსებით შეუძლიანთ ყველა აქაურ სკოლების მასწავლებლებს.

ჩვენ, ქართველები, იმდენად დაბრიყვებულნი ვართ, რომ არ გვაკვირვებს სვანეთის სკოლებიდანაც ქართულ ენის გამოდევნა. სავალალოდ და სამწუხაროდ ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ იმისთანა პირებმა, რომლებსაც წინად ქვეყნის წინაშე ადაიანად მოჰქონდათ თავი, დღეს დახმარების მაგივრად, თვითონ ულალატეს წინაპართა ანდერძს და პირველად მათვე გასთელეს და შეურაცხყვეს ჩვენი ქვეყნის წმიდათა-წმიდა და ამითი ნათლად დაანახვეს ქვეყანას, როგორი მამულის-შვილები ყოფილან ისინი. ამიტომ მე ვფიქრობ, არც მომავალი თაობა დაივიწყებს ამისთანა პირებისაგან გაწეულ სამსახურს და ყველას შესაფერ პატივს მიაგებს *)...

სევერიან კეკელიძე.

---

*) ჩვენ მივიღეთ სვანეთიდან მეორე წერილიც, რომელიც სავსებით ამოწმებს ბ-ნ ს. კეკელიძის ნათქვამს. რედ.

ქართლის ამბები.

სოფ. ქილურტის გლეხთა ჭირ-ვარამი *).

ს. ქილურტის მცხოვრებნი მეტად შევიწროვებულნი ვართ ყოველ მხრივ. უპირველესი მიზეზი ჩვენი გაჭირვებისა არის მამულის უქონლობა. ჩვენს სოფელს გარშემო სწორედ შვიდი მებატონე გვახვევია, რომელთა მამულშიაც უეჭველად უნდა გავიდეთ. სახელმწიფო გლეხებს დღიურ სახნავზედ 2—1½ მან. გვახდევინებენ. ტყეშიაც ვერ შევდივართ, რადგან სახელმწიფო ყარაულები დგანან, რომელნიც მუდამ ცულ-წალდებს გვართმევენ. ცულს მხოლოდ მაშინ დაგვიბრუნებენ, როცა 1 მ. ან 50 კ. მივცემთ, თუ არა და—უნდა დავეკარგოს. ზოგს კაცს თითო ცული 10—15 მან. უზის. გამიჯნამდის ტყე, რომელიც ფარეშიანთ ეკუთვნის, სასოფლო იყო. დავა გამოუცხადეს აზნაურებმა, ხოლო ერთმა აზნაურთაგანმა გვითხრა: ძმებო, თქვით, რომ ეს ტყე ფარეშიანთ ეკუთვნითო, მაშინ უფრო თავისუფლად იხმარებთო; „ობეშჩიკები“ არ შეგაწუხებენ, არც ჩვენ დაგიშლით ტყეში სიარულსაო. ჩვენის სოფლის კაცებმაც სთქვეს და ტყე ფარეშიანთ დარჩათ. როცა ფეხი მოიკიდეს, მერე შეკრეს და ერთ წკირსაც არ გვანებებენ.

არა ნაკლებ ვიტანჯებით პოლიციისაგან; სტრაჟნიკებისაკან ცეცხლში ვართ. მოვა თუ არა სოფელში სტრაჟნიკი, მაშინვე მზად უნდა იყვეს იმისთვის ბინა, სასმელ-საჭმელი და იმის ცხენისთვის თივა, ქერი. ვაი ჩვენი ბრალი, თუ მალე არ შევუსრულეთ, რასაც მოითხოვს. ჩვენგან მიცემული ფულით ნაყიდ მათრახს ჩვენვე გვცემს. გაგვეჭირდა ცხოვრება და ამისთვის შევიკრიბეთ ჩვენი გაჭირვების ერთმანეთთან გასაზიარებლად, მაგრამ გაჩნდა იგივე სტრაჟნიკი და გვითხრა,—ერთად შეკრების ნება არა გაქვთ და დაიშალენითო.

ამოდენა უბედურებას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ, რაც კაცისთვის აუცილებელი საჭიროებაა, ის ძვირია და საწყალ ხალხისთვის ხელმიუწვდომელი. ეს კი იმის მიზეზითაა, რომ უზომო ბაჟები ადევს და ამ ბაჟებს ისევე ჩვენისთანა საწყალი გლეხ-კაცობა იხდის.

თითო-ოროლა კაცს ვენახი გვაქვს. ამბობენ, წამლობა შველისო, მაგრამ რითი ვიყიდოთ, როცა დღიური ლუკმაც არ მოგვეძებნება. აბა, ჩვენი ფქვილის გოდრებში ჩაიხედეთ,—სწორედ შეგებრალებით. ყველამ დღიურად უნდა ვიმუშაოთ, რომ ერთი-ორი ფუთი ფქვილი ვიყიდოთ და წვრილ-შვილი გამოვკვებოთ. სად არის იმდენი ფული, რომ ვენახს ვუწამლოთ! ვისაც მოუვა რამე და გამოჰქლეტამს, ჭაჭა უნდა გადაყაროს, რადგან აქციზის შიშით ვერ გაგვიბედნია არყის გამოხდა. მოგვასწრებენ და მაშინ ხომ შავი დღე დაგვადგება: ჯარიმასაც გადაგვახდევინებენ და ექვს თვემდის ციხეშიაც ჩაგვსვამენ.

გაგვიგონია, სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელეო; სწორედ ასეც უნდა იყვეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს სწავლა? არა. სიბნელეში ვართ, ეხლა უსწავლელი კაცი ცალფეულად არა ღირს. ჩვენ კი სკოლა არა გვაქვს, რომ შვილებს ვასწავლოთ, ან თუ გვაქვს, ზოგიერთ სოფელში ისეთი სკოლაა, რომ იმათი სწავლა ჩვენ არაფერს გვარგია. ამიტომ გვსურს ისეთი სკოლები გვქონდეს, რომ იქ ნასწავლი შვილი სახლს გამოადგეს, იცოდეს მამულისა და ვენახის მოვლა და მისი ხელი. სწავლა უფასო და სავალდებულო უნდა იყვეს 17 წლამდის და უნდა სწარმოებდეს დედა-ენაზედ, თუმცა არც რუსულის წიგნის ცოდნისა ვართ უარმყოფელნი.

ყველა ამ უბედურებას ემატება კიდევ სხვა უბედურებაც: ვიამაგებთ, გავზდით შვილს და, როცა ვიტყვით,—აი, ახლა კი ღმერთმა გვიშველა, შვილი წამომეზარდა, საქმეს შემეშველება და შრომას შემიმსუბუქებსო, სწორედ მაშინ წაიყვანენ სალდათად,—მოაშორებენ სახლ-კარს, დედ-მამას. იმას ხომ არ გვაკმარებენ, რომ წაიყვანენ,—ცხრა მთას იქით მიჰყავთ, ვეღარც ცოცხალს ვხედავთ, ვეღარც მკვდარსა: გვეტანჯება გული; ეფიქრობთ: ვაიმე, შვილო, ვინიცის, გწყურიან, ან გშიან, ან სიცივლე გაწუხებს,—ეს ფიქრი ღრღნის ჩვენს გულს. თანაც წერილი წერილზე მოგვდის,—ფული გამომიგზავნეთ ამა და ამ საჭიროებისათვისო. მშობლის გული იტანჯება; თითონ იკლებს, უკანასკნელ ლუკმას ჰყიდის და შვილს უგზავნის. ჩვენი შვილები რუსეთის სასტიკ ჰავას ვერ იტანენ და ნახევარზედ მეტი იქ, შორს, ჰყრის თავის ძვლებს. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ისევ ჩვენს ქვეყანაში დარჩნენ და ჩვენის თვალით ვხედავდეთ.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხს აღარ შეგვიძლიან ჩვენი გაჭირვება დავმალოთ და საქვეყნოდ არ გამოვაცხადოთ.

ძალისელი.

---

*) ეს წერილი ჩვენ სოფ. ქილურტის გლეხმა მოგვიტანა გაზეთში დასაბეჭდად. რედ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. დღეს თუ ხვალ, ადმირალი როჟესტვენსკი და ტოგო ერთმანეთს შეებრძოლებიან. სინგაპურიდან იუწყებიან, 25 მარტს, შუადღისას, რუსეთის 47 გემი მალაკის სრუტეში უნახავთ. მეორე დღეს, 26 მარტს, დილის 9 საათზე ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა (15 სამხედრო დიდი გემი, 4 სავაჭრო, სამხედრო გემებად გადაკეთებული კრეისერი, 14 ნახშირი დატვირთული გემი და 5 ნაღმოსანი) სინგაპურთან გამოჩნდა. რუსეთის ესკადრას წინ მიუძღოდა იაპონელთა 12 კრეისერი. საქმე იმაშია, რომ ადმირალ ტოგოს კრეისერები და ნაღმოსნები ახლო მახლო სრუტეებში იყვნენ გაფანტულნი. როცა იაპონელთა 12 კრეისერმა დაინახა, რომ როჟესტვენსკის ესკადრა მალაკის სრუტესკენ მიდიოდა, უკან წავიდა, როჟესტვენსკის წინ გაუძღვა და ამავე დროს დანარჩენ რაზმებსაც შეატყობინა,—რუსეთის ესკადრა ამა და ამ გზით მოდისო. ცხადია, ადმირალ ტოგოს უნდა მთელ თავის ფლოტს ერთ ადგილას მოუყაროს თავი, რუსეთის ფლოტს შორი-ახლოს გაჰყვეს და კუნძულ ფორმოზას მახლობლად შეებრძოლოს.

სინგაპურიდანვე იუწყებიან, ადმირალი როჟესტვენსკი საფრანგეთის ნავთსადგურ საიგონში აპირობს შესვლასო.

პარიზიდან იუწყებიან: საზღვაო საქმის მცოდნე ფრანგები ამბობენ, ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის არ დაუშლის სრუტეში გასვლას, წინ გაუძღვება, ჩინეთის ზღვაში კი მოუბრუნდება და შეებრძოლებაო. აქედანა სჩანს, რომ ადმირალ ტოგოს არ უნდა როჟესტვენსკის ხმელეთის მახლობლად შეებრძოლოს, რადგან დამარცხებული როჟესტვენსკი თავს უშველის, რომელსამე სანეიტრალო ნავთსადგურს შეაფარებს თავსა და იარაღს აიყრის. ტოგოს უნდა როჟესტვენსკი, რაც შეიძლება, შორს შუაგულ ზღვაში გაიტყუოს და იქ შეებრძოლოს.

,,ლოკ. ანც.''-ი სწერს, ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის უფრო ჩრდილოეთით, ფორმოზას მახლობლად შეებრძოლებაო.

იმავე გაზეთის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელთა გემები ნატუნის კუნძულების (ეს კუნძულები ბორნეოსა და მალაკას შუა მდებარეობენ) მიდამოებში არ მოსჩანანო. ზონდის სრუტე კი, პირიქით, იაპონელთა გემებით არის სავსეო.

სინგაპურიდან იუწყებიან: შორიდანვე ეტყობოდა, რომ როჟესტვენსკის გემებს ერთი ფუტის სისქეზე ზღვის ლოკოკინები ჰქონდა მიკრობილი. ესკადრა საათში 8 მილს (14 ვერსს) გადიოდა. ესკადრა 47 გემისგან შესდგებოდა: 6 ჯავშნოსანი, 9 კრეისერი, 8 კონტრ-ნაღმოსანი, 3 დიდი, გერმანიაში ნაყიდი სავაჭრო გემი, 3—რუსეთისა, 10—სანახშირე, 1 გემი საავადმყოფო და 1 მშველელი, უბრალო. გემებზე მეზღვაურნი თავთავიანთ ალაგზე იდგნენ და საბრძოლველად იყვნენ დამზადებულნი. შესაძლებელია, რომ ბრძოლა სინგაპურის ჩრდილოეთით, ჩინეთის ზღვაში მოხდება (რ.).

იაპონურ პრესსის აზრი ზავის შესახებ. იაპონური გაზეთები ბევრსა სწერენ ზავის შესახებ, მაგრამ თვითონ ზავის მოახლოვება კი არა სჯერათ. ზავის შესახებ ლაპარაკს არც ხალხსა და არც მთავრობაზე არავითარი გავლენა არა აქვს. იაპონური გაზეთები ერთხმად სწერენ, ზავზე ლაპარაკი ადრეა; ამ ლაპარაკს ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და ომი ენერგიულად უნდა განვაგრძოთო. ზავი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა იმას თვითონ რუსეთის მთავრობა მოითხოვსო. გაზეთი ,,ჯიჯი შიმპო'' სწერს: რუსეთის განუწყვეტელ დამარცხებას რუსეთის მთავრობაზე გავლენა არა აქვს. ამ მთავრობას სულაც არა სურს სახელის დაკარგვა, მაგრამ ამგვარი პოლიტიკა ვერ შეაშინებს და დავთრებს ვერ აურევს ჩვენს ჯარს, რომელიც მხნედ მიიწევს წინ და რუსებს გონზე მოსვლისა და შესვენების ნებას არ მისცემს. ,,კოკუმინ''-ი სწერს: მუკდენის ბრძოლის შემდეგ ომის გაგრძელება რუსეთის მთავრობის მხრივ უგუნურება იქნება; მაგრამ თუ რუსეთი განგებ თვალსა ხუჭავს და გონიერებას ყურს არ ათხოვებს, ამით იაპონია ჯეროვანად ისარგებლებს და მომავალში რუსეთის ჯარს უფრო უარეს დღეს დააყრის. ,,ნიში ნიში შიმბუნ''-ი სწერს: საფრანგეთს შეუძლიან რუსეთს ზავის ჩამოგდება ურჩიოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსეთი ამ რჩევას ყურადღებას არ მიაქცევს. ეხლა ზავის ჩამოგდება რუსეთის ბიუროკრატიისთვის ყელის გამოჭრა და თავის მოკვლა იქნებოდა, ბიუროკრატიას კი, რასაკვირველია, თავის მოკვლა სულაც არ უნდა (რ. ვ.).

მანჯურიაში. „ტაიმს“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: მარშალ ოიამას ჯარი მომავალ დიდ ბრძოლისთვის ემზადება. ოიამას ყოველ დღე ახალ-ახალ ჯარი მოსდის. იაპონელებმა შუა მანჯურიისკენ რამდენიმე გზა გაიყვანეს დანარჩენ გზებს აკეთებენ. რუსები მდინარე ტუმენის ჩრდილოეთით, ხანჩუნის მახლობლად და ნინგუტის მიდამოებში მაგრდებიან.

«ფრან. ცაიტ.»-ი მანჯურიაში საქმის მდგომარეობის შესახებ სწერს: გამარჯვებულ იაპონელებისთვის ხარბინის აღება აუცილებლად საჭიროა. ხარბინის აღების შემდეგ იაპონელებს ადვილად შეუძლიანთ გენ. ლინევიჩის ჯარსა სდევნონ და იმავე დროს ვლადივოსტოკსაც ალყა შემოარტყან. მუკდენის გამარჯვება მხოლოდ ხარბინის აღებით დამთავრდება. იაპონიამ მთელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს და, რაც კი ჯარი ჰყავს, ხარბინში შეკრიბოს (ნ.).

ვლადივოსტოკი. „ჟურნალ''-ი იუწყება: პარიზში ხმა გავრცელდა, ვითომ კორეიდან იაპონელები ზევით ავიდნენ, რკინის გზა გადასჭრეს და ვლადივოსტოკი ხარბინს ჩამოაშორესო.

იგივე გაზეთი იუწყება: იაპონელებმა პორტ-არტურში აღებული რუსების საალყე ზარბაზნები ვლადივოსტოკისკენ გაჰგზავნესო. ვლადივოსტოკიდან ხალხი საჩქაროდ მიდის. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ბანკები ხაბაროვსკში გადაიტანეს (ნ.).

კორესპონდენტების დეპეშები. «ნოვოე ვრემია»ს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება: ინგლისური გაზეთები დაჟინებით არწმუნებენ იაპონელებს, დროს ნუ დაჰკარგავთ, შემთხვევით ისარგებლეთ, იარაღს ნუ დაჰყრით და რუსეთის ძალმომრეობას ფრთები შეაკვეცეთო. (ნ. ვ.).

,,ტაიმს''-ის პეკინელი კორესპონდენტი იაპონელებს ურჩევს, ომი განაგრძეთ და, სანამ რუსეთი ყველა თქვენს პირობას არ აასრულებს, იარაღს ნუ დაჰყრითო. (ნ.).

,,სტანდარტ''-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: რუსეთის ხალხს ზავის პირობები სულაც არ აინტერესებს. ხალხი მზად არის იაპონიას სახალინიც დაუთმოს და კონტრიბუციაც გადაუხადოს (ნ. ვ.).

,,დეილი ტელეგრაფ''-ის კორესპონდენტს ერთ რუს ბობოლასთან ულაპარაკნია. ამ ბობოლას უთქვამს: თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თავი არ დაგვანებეს და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევა განიზრახეს, რუსეთი ერთ რომელსამე ძლიერ სახელმწიფოსთან (გერმანიასთან) კავშირს შეჰკრავს და ევროპას ლიბერალებს ჭკუას ასწავლისო. (ნ. ვ.).

იგივე კორესპონდენტი ამტკიცებს, რუსეთის ერის დამშვიდება ფრთა-შეკვეცილ რეფორმებით შეუძლებელიაო. ესეც რომ არ იყოს, რუსეთის მთავრობამ ეს რეფორმები მხოლოდ ხალხის დასამშვიდებლად და დროებით მოიგონა, თორემ თვითონ ბიუროკრატია სახელმწიფო წესწყობილების შეცვლას სულაც არ აპირობსო (ნ. ვ.).

,,ნოვ. ვრემია''-ს კორესპონდენტი ლონდონიდან იტყობინება: იაპონელები ზავზე უარს არ ამბობენ, მხოლოდ შემდეგის პირობებით კი: კორეა, მანჯურია და სახალინი იაპონელებს უნდა დაეთმოს; რუსეთმა იაპონიას სამხედრო კონტრიბუცია უნდა გადაუხადოს. ის კონტრიბუციაც, რომელიც ჩინეთმა რუსეთს უნდა მისცეს (1900 წ. ომის გამო), იაპონიას უნდა დაეთმოს. იაპონელებს თევზის ჭერისა და ნადირობის ნება უნდა მიეცეს დიდ ოკეანეს ნაპირებთან; სანამ რუსეთი იაპონიას კონტრიბუციას—1 მილიარდ მანეთს—გადაუხდის, ვლადივოსტოკი იაპონელების ხელში იქნება. კორესპონდენტი უმატებს: ინგლისელები ამ პირობებს არა სჯერდებიან და იაპონიას ურჩევენ, გარდა ამისა, ეუჭველად ისეთი რამე უნდა მოითხოვოთ, რომ რუსეთმა ხელმეორედ ომის დაწყება არ გაბედოსო, მაგალითად: რუსეთს ნება არ უნდა ჰქონდეს ციმბირში რკინის გზის მეორე ლიანდაგი გაიყვანოს, ციმბირში 50 ათას სალდათზე მეტი შეინახოს და დიდ ოკეანეში ფლოტი იყოლიოსო (ნ. ვ.).

ჩინეთი და კონსტიტუცია. ,,ტაიმს''-ის კორესპონდენტი პეკინიდან იუწყება: იაპონელები იმდენს ეჩიჩინებ ჩინეთის დედოფალს, რომ დაიყოლიეს და, დღეს თუ ხვალ, ჩინეთში კონსტიტუციის შემოღებას გამოაცხადებინებენო (რ. ს.).

ახალი ამბავი

◆ გაზეთ „სინ ოტეჩესტვო“-ს სიტყვით, **შინაგან სამინისტროსთან შემდგარა განსაკუთრებული კომისია** გურიასა და პოლონეთში მომხდარ მოძრაობათა მიზეზების გამოსაკვლევად.

◆ **ქ. გორი.** ოთხშაბათს, 23 მარტს, **სოფელ ხელთუბანში ავიდა ორმოციოდე კაზაკი და დაიჭირა** 8 გლეხკაცი, როგორც ვითომ არეულობის მოთავე ხალხი, და გორის სატუსაღოში ჩასხეს. ამის გამო ხელთუბნელები ქუდზე კაცი შეიკრიბნენ და წამოვიდნენ მაზრის უფროსთან მათის დატუსაღების შესატყობლად, მაგრამ პასუხის მაგივრად პოლიციამ გორის თავში მათ კაზაკები დაახვედრა, რომელნიც დაერივნენ გლეხებს და უკანვე სულ თავპირ-დასისხლიანებულები გაისტუმრეს. გლეხებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

◆ შაბათს, 26 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, პროფესიონალურ სკოლის მოსწავლე ქალებმა **სკოლაში არეულობა მოახდინეს და ფანჯრები** ერთიანად ჩალეწეს. მოსწავლენი სხვა მოთხოვნილებათა გარდა უმთავრესად თხოულობენ სკოლის გამგის ქ-ნ დრობიშევის დათხოვნას.

◆ 27 მარტს, საღამოს $9^1/_2$ საათზე ვორონცოვის ძეგლთან **თავის საკანდიტეროში მოჰკლეს** არტემ ივანეს ძე ალიხანოვი. საკანდიტეროში შესულა ვიღაც ახალგაზრდა კაცი და ალიხანოვისთვის უთქვამს: ერთი გირვანქა ,,პერიჟენი'' ამიწონეო. როცა ალიხანოვი უწონიდა, უცნობმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, გულში დაახალა და გარედ გამოვარდა. ალიხანოვი იქვე ცოცხალ-მკვდარი დაეცა. პოლიციამ ფაიტონით ალიხანოვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანა, მაგრამ გზაშივე გარდაიცვალა. დაპატიმრებულია ორი კაცი, რომლებსაც საკანდიტეროში იმ დროს მყოფი ქალი ვერა სცნობს. ალიხანოვის მოკვლის მიზეზი ჯერ დანამდვილებით არაა გამორკვეული. ზოგი იძახის, ჯაშუშობისათვის მოკლესო, ზოგი კიდევ სხვა მიზეზს ასახელებს.

◆ 27 მარტს, შუადღის 2 საათზე, მე-9 პოლიციის ნაწილში, ჭირიანთ-ხევში, **იპოვნეს გვამი ერთი მუშისა, რომელსაც ყელი გამოჭრილი აქვს.** როგორც ეტყობა, სიკვდილამდის მოკლულს ბევრი უომნია, რადგან ხელები მთლად ხანჯლით დასერილი აქვს და სახეზედაც რამდენიმე ჭრილობა ემჩნევა. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 8 კაპ. ფულად და ოსმალოს ქვეშევრდომის გეურქა არუთინოვის სახელზე პასპორტი გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ გორიდან გვწერენ: ქალთა გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ გადასწყვიტა **მოეწვია მშობლების კრება**, სწავლის განგრძობის საშუალების აღმოსაჩენად. კრება დანიშნული იყო 24 მარტისთვის, შუადღის 12 საათზე. კრებაზე დასასწრებად ხალხი ბევრი მივიდა, მაგრამ დასწრების ნება მხოლოდ ქალებსა და კეთილ-საიმედო კაცებს მისცეს. კრების თავმჯდომარემ, გიმნაზიის დირექტორმა, სიტყვით მიჰმართა მშობლებს—სასურველია სწავლის განგრძობაო, ხოლო 14 მარტის მაგვარი ინციდენტი რომ არ განმეორდეს (მაშინ სასულიერო და სხვა სასწავლებელთა მოწაფეებმა ქალთა გიმნაზიის ფანჯრები ჩალეწეს), გიმნაზიის გარშემო კაზაკები იქნებიან დაყენებულნი და გიმნაზიის მსახურნიც შეიარაღებულნიო. ქალებს გიმნაზიაში არა დაუშავდებათ რა, ხოლო გიმნაზიიდან რომ გამოვლენ [illegible] წასასვლელად, გიმნაზიის მთავრობა [illegible] აღარ აგებსო, მშობლებმა უნდა უგდოთ ყურიო. გადასწყვიტეს—სწავლა ორშაბათს, 28 მარტს, დაიწყონ.

◆ როგორც გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“ გადმოგვცემს, 22 მარტის **პიროგოვის სახელობის კრებაზე მოხსენება წაუკითხავს მოსკოვში ექიმ ამირეჯიბს** ხოლერის შესახებ.

◆ პირველი სხდომა **„ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ურთი-ერთ შორის დამხმარებელ საზოგადოების“** გამგეობისა მოხდება დღეს, 29 მარტს, საღამოს რვა საათზე. ,,ტფ. ფურცლის'' რედაქციის სადგომში. სხდომაზე ამოირჩევენ თავმჯდომარეს, ხაზინადარსა და მდივანს. ამ სხდომაზე დასასწრებლად მიწვეულნი არიან, როგორც გამგეობის წევრნი, ისე მათი კანდიდატებიც.

◆ გუშინ **ტფილისის ქალაქის მოურავს მიჰმართეს 283 ვაჭარმა**, რომლებსაც მე-3 და 5 პოლიციის ნაწილებში აქვთ მაღაზიები და დუქნები, და სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ ჩვენს სახლის პატრონებთან, რომ მაღაზიები პირადად იმათ მოგვაქირავონ, რადგან მათი სახლები ვიღაც მოიჯარადრეებს აქვთ აღებული და ფასები ისე ასწიეს, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ ფასების გადახდაო.

◆ მომავალ პასექის დღესასწაულებისთვის **ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა**, დაურიგონ შემწეობად ტფილისის ოლქის მოხელეთ—800 მანეთი, ტელეფონის მსახურთ—580 მანეთი, ოლქის სხვა დაწესებულებებში მსახურთ-კი—9000 მან.

◆ 27 მარტს. საღამოს 8 საათზე, ადგილობრივ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის** სატელეგრაფო განყოფილებაში კანტორასთან არსებულ **წიგნთ-საცავისა და შემნახველ-გამსესხებელ კასსის წევრებს კრება ჰქონდათ.** რევიზიის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ კასირს, ბ-ნ პ—ს, გაუფლანგავს, როგორც კასსის, ისე წიგნთ-საცავის ფული, 5000 მანეთზედ მეტი.

◆ კვირას, 27 მარტს, **სასოფლო-სამეურნეო ბანკის საზოგადო წევრთა კრება შემდგარა.** როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საერთო აპერაცია ბანკს 1904 წელს 11,11,352 მან. ჰქონია. კასის აპერაცია—4.850,483 მან. და 89 კაპ.; ვექსილები გაუნაღდებიათ 605,632 მანეთისა. საქონლის გირაოდ გაუციათ 25,900 მან.; მთელი წლის აპერაციებიდან შემოსულა—40,750 მან. და 18 კ.: საწევრო ფულის ყოველ 100 მანეთს მოგება შეხვდა—4 მან. და 5 კ.; 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვა არის 22,634 მან. 60 კ., აქედან საპენსიო კაპიტალის გასაძლიერებლად გადაიდო—1000 მან.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის თავმჯდომარედ გ. ს. განძიელი; საბჭოს წევრებად—ა. ყიფშიძე და ვ. ა. სულხანიშვილი და სარევიზიო კომისიის წევრებად—ნ. ი. მესხიშვილი, ა. ფ. ჯვარიშვილი და კ. დ. ბაქრაძე.

◆ **ს. საგარეჯო.** ოთხშაბათს, 23 მარტს, **ბერთუბნის თავდალმართზე უბედურება** მოხდა.

ფელეტონი

ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში

პასუხად ბ.ბ. გოგიჩაიშვილს და „ნარს“.

ორმა ნიღბიანმა—„კალამმა“ და „ნარმა“ და ერთმაც უნიღბომ, ბ-ნმა გოგიჩაიშვილმა, ქვეყანას აუწყეს, ვითომ ჩემის მეცადინეობით ქართული ენა განდევნილი იყოს სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან.

ამისთანა სიცრუეს თუ კაცი იტყოდა არ მეგონა! არც ერთს სამეგრელოს სკოლაში ქართულ ენის სწავლება ჩემსობას ერთის დღითაც არ შეწყვეტილა და დღესაც იმავე პროგრამმით სწავლობენ, როგორც ყველა ქართლ-კახ-იმერეთის სკოლებში. ამას დავუმატებ: არსად ქართულ ენის სწავლება ისე არ ყოფილა გაძლიერებული, როგორც სამეგრელოს სამრევლო სკოლებში. ეს ფაქტია, თვალით დაინახება და აბა რა დამტკიცება სჭირია?

მერე ვისის წყალობით არის ქართულ ენის სწავლება დაცული სამეგრელოს სამრევლო სკოლებში?—თამამად მოგახსენებთ: მარტო ჩემის მეცადინეობით და მოხერხებით. ამის საბუთებსაც გიჩვენებდით, მაგრამ ყოვლიფრის თქმა და გამომჟღავნება სხვადასხვა მიზეზით ჯერ მაინც არ შემიძლია: სხვა არა იყოს-რა, ჩემის მტრების მერიდება, რომელნიც ჩემს უფროსებს ჯიბე-უბეებს უსახელო „დონოსებით“ უვსებენ, რაო და საშიშარი პატრიოტიაო, სამსახურიდან განსადევნიო... აი ამიტომაც ვთხოვდი ყველას და „ცნობის ფურცლის“ რედაქციასაც ვთხოვე, თუ საჭიროდ ნახოთ, საქვეყნოდ სალაპარაკოდ დამიბარეთ და გახლებით-მეთქი საქმის ასახსნელად. დღესაც ამისი მთხოვნელი ვარ. მაშინ ყველა დარწმუნდებით, გასაკიცხია ჩემი მოქმედება თუ ქება-დიდების ღირსი.

მეორე ბრალი ის დამდეს, ვითომ მე მეგრულის ქართულ-ენობას უარვყოფდე. შესანიშნავის გულიანობით იმეორებენ ამ ბრალს ბ-ნი გოგიჩაიშვილი და „ნარი“, რომელიც სწერს: „მისი (ესე იგი ჩემი) დაწინაურებისათვის (ე. ი. „დეისტვიტელნობისათვის!“) საჭირო შეიქნა სამშობლო ენის უარყოფა, მეგრელების არა ქართველობა და მისმა ჩინოვნიკურმა აზრმა აღიარა ის, რაც უბრძანეს... და ქაღალდზე გამოსცა ეს დიდებული აზრიო“.

ღმერთმა ის ნუ ათქმევინოს ჩემს ენას, რასაც ცალიანი „ნარი“, «კალამი» და ბ-ნი გოგიჩაიშვილი ასეთის მოურიდებლობით გაიძახიან. მერე იცით როდის გაიძახიან ამას ბ-ნი გოგიჩაიშვილი და «ნარი?»—მას შემდეგ, რაც მე გაზეთით გამოვაცხადე, რომ ის ანგარიში ყალბია-მეთქი, რომელზედაც „კალამმა“ დააფუძნა ჩემი მოღალატეობა, მას შემდეგ, როდესაც მე ნამდვილი ანგარიშიც მივაწოდე და მიუთითე თვით იმ ჩემის ანგარიშის დედანსაც, რომელიც დაცულია სამოსწავლო რჩევის არქივში, ჩემი „პროტესტიც“ ვუჩვენე წინააღმდეგ იმ ყალბ ანგარიშისა და რჩევის ოფიციალური განაჩენიც შესახებ იმ ყალბ ანგარიშის გასწორებისა! სვინდისიანი მწერალი რომ ამდენს საბუთებს მიუთითებდნენ თუ კიდე ეჭვი დაურჩებოდა, ან ეცდებოდა ჩემგან ნაჩვენები საბუთები თავისის თვალით დაენახა, ან სხვას მიანდობდა ეს საბუთები სამოსწავლო რჩევის კანცელარიაში გაესინჯათ; ხოლო თუ ამასაც დაიზარებდა, მოუცდიდა მაინც, სანამ მე თვითონ არ წარვუდგენდი შემოწმებულ პირებს ზემოხსენებულ საბუთებისას (რომელნიც ამ დღეებში უკვე გავუგზავნე რედაქციას).

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბ-ნ გოგიჩაიშვილს და მისს კამპანიას ჩემი გამართლება კი არ უნდათ, არც საქმისთვის შესტკივათ გული: მათ ათვალწუნებული ჰყავთ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“, არ უნდათ გამართლდეს „ჩინოვნიკი“, ძალად უნდათ კატას ეჟვანი შეაბან! ეს არის მიზეზი იმისი, რომ ეს კამპანია სრულიად ამახინჯებენ გარემოებას, თვითონ რაც ნებავთ სწერენ, მე კი არ მაწერინებენ. ეს გადამახინჯება ფაქტებისა უმაღლეს წერტილამდი აღწეულა. აი მაგალითიც. თვით იმ ყალბ ანგარიშშიც-კი ის არ სწერია, ვითომ მ. ვოსტორგოვი (რომლის აზრი მე უსამართლოდ მომაწერეს) მეგრელების ქართველობას უარ-ყოფდეს, როგორც კამპანია გვაუწყებს, გინა გვაგულისხმებინებს; პირიქით იქ მეგრელების ქართველობა სწერია: „Окружной наблюдатель заявилъ, что онъ никогда не утверждалъ и нынѣ признаетъ то, что Мингрельцы Грузинскаго племени, но что вслѣдствіе историческихъ судебъ въ длинные ряды вѣковъ мингрельскій языкъ столь далеко уклонился отъ своего корня (груз. яз.), что въ настоящее время мингрельскій мальчикъ не можетъ понимать объясненій на грузинскомъ языкѣ“ (გვ. 29—30). „საპედაგოგო ჭეშმარიტება ღაღადებსო (ამბობს გ. ვოსტორგოვი), რომ ბავშვებს ყველაფერი გაუგებარი აუხსნან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით, და თუ მეგრელთა ბავშვებს **უკეთ ესმით** თავისი სამშობლო მეგრული ენა (და არა დედა ენა) ვიდრე ქართული (ე. ი. დედა ენა) მათთვის გაუგებარ აზრთა ასახსნელად უნდა ხმარებულ იქმნეს მათთვისვე **უფრო გასაგები** მეგრული ენა (გვ. 30). აბა აქ სად სწერია „მეგრელების არა-ქართველობა“, „სამშობლო ენის უარყოფა''?! აქ მამა ვოსტორგოვი (და არა მე—ნუ იყოფინ!) იმას ამბობს, რომ, რადგან მეგრელ ბავშს ქართული საკმაოდ არ ესმის, ხოლო მეგრული უკეთ ესმისთ“, ამიტომ გაუგებარი სიტყვები და ფრაზები მეგრულად აუხსნითო. „Поэтому онъ (ე. ი. მამა ვოსტორგოვი) не можетъ допустить никакого другого языка кромѣ мингрельскаго при объясненіи дѣтямъ изъ мингрельцевъ непонятныхъ словъ, выраженій и мыслей русскаго языка“ (იხ. იქვე). კარგა დააკვირდით და ნახავთ, რომ აქ ის კი არ სწერია, მეგრელებს ქართული არ ასწავლოთო, მეგრული ქართული არ არისო, არამედ ის აზრია გამოთქმული, რომ „როცა რუსულ ენას ასწავლიან“ მეგრელ ბავშვს გაუგებარი სიტყვები და აზრები იმ ენაზე აუხსენით, რომელიც მას „უკეთ ესმითო“, ესე იგი მეგრულადაო. ყველა მასწავლებელნი ამას ასე შვრებიან, როდესაც მეგრელ ბავშვებს ქართულ ენას ასწავლიან: გაუგებარ ქართულ სიტყვებს და აზრებ მეგრულად უთარგმნიან და ასე შეასწავლიან ხოლმე. მაშ სხვანაირად როგორ ასწავლონ? ნუ თუ აქაც «მუნჯური მეთოდი» გინდათ შემოაპაროთ? სანამ მეგრელი ბავშვები ქართულს არ შეისწავლიან, მანამ ქართულს (და რუსულსაც) მეგრულ ენაზე უთარგმნიან, უხსნიან. სხვა აზრის აქ შემოტანა შეუძლებელია (შეადარე ბ-ნ გოგიჩაიშვილის ამონაწერი ,,ივერია'' 1905 წ. № 4).

მართალია, წინეთ მამა ვოსტორგოვი მეგრულის ქართულ ენობას სრულიად უარჰყოფდა და ამიტომ მონდომებული იყო უსათუოდ განდევნილ იყო ქართულ ენის სწავლება ყველა სამეგრელო სკოლებიდან. ამაზე მე და დეკანოზ ვოსტორგოვს ხშირი და ცხარე ბაასი გვქონია. მამა ვოსტორგოვმა, რო დაინახა ძლიერება ჩემის საბუთიანობისა, დაიშალა.

როცა მამა ვოსტორგოვი დაინიშნა ყველა საექსარხოსოს სამრევლო სკოლების უფროსად, მაშინ სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა განძევებული იყო იანოვსკის განკარგულებით. მამა ვოსტორგოვმა მოითხოვა, რომ რადგან ამ სკოლებში ქართული ენა აღარაა, არც ჩვენს სამრევლო სკოლებში უნდა ისწავლებოდესო, უნდა განიდევნოსო! რამდენი შრომა დამჭირდა, რომ ჩემი უფროსები დამეჯერებინა: მთავრობა მოღორებულია, მთავრობას ატყუებენ უმეცრები, თავისის სარგებლობის მეძიებელნი, ეკლესიის დამხობნი; ვინც მეგრულის ქართულ ენობას უარყოფს ის რუსების მოღალატენი არიან. მეთქი, მართლმადიდებლობის გამცემელნი, ცრუნი და სხ. ყველა ამაებზე სიტყვის გაგრძელება თქვენთვისაც მოსაწყენი იქნება, ბატონებო, და ჩემთვისაც საშიშარი (ჩემი მტრები „დონოსებს“ მიაყრიან ვისდამე ჯერ არს!); მაგრამ ეს ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ყველა სამეგრელო სკოლებში ქართული ენა ისე სწარმოებს, როგორც ყველა დანარჩენ საქართველოს სკოლებში. აქედან ცხადზე-უცხადესად დაინახავთ, რომ ჩემს მეცადინეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეს ზემო აღწერილ საბუთებიდანაც სჩანს, სახელდობრ იქიდან, რომ თვითონ მამა ვოსტორგოვი მეგრელთა ქართველტომობას თავისის პირით აღიარებს და მარტო იმას თხოულობს, რომ ქართულ ენის არ მცოდნე მეგრელ ბავშვს გაუგებარი სიტყვები მეგრულ ენაზე აუხსენითო. დიალაც ცხადია, რომ ჩემს საბუთიან ლაპარაკს მეტი გავლენა ჰქონია ამ დიდად ჰკვიან კაცზე, ვინემ „პოპეჩიტელის“ ყოველ-დღიურს „ჩურჩულს“ იმაზე, რომ სასულიერო უწყებასაც სამინისტრო სკოლების მაგალითით სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდანაც სრულიად განედევნათ ქართული ენა და ამით ორივე უწყების სამეგრელოს სკოლებში დაემყარებინათ სრული ერთობა („გარმონია“).

თუმცა ზემომოყვანილი მ. დეკ. ვოსტორგოვის აზრი პედაგოგიურს სიმართლეს შეიცავს, რომელიც ღაღადებს: „უცნობი აზრები გასაგებ ენით უნდა განუმარტოთო ბავშვებს და არა გაუგებარი გაუგებარ ენითო“; მაგრამ მაინც ჩემს წლიურ ანგარიშში ჩემი საკუთარი ცალკე აზრიც შევიტანე, მით უმეტეს რომ პირველი აზრი სრულის სიცხადით არ იყო გამოთქმული და მყვირალა ძალად-პატრიოტებს საბაბი ეძლეოდათ ორჭოფულად გამოთქმული აზრი სულ უკუღმა გადაებრუნებინათ. აი, ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ როდესაც ჩემი ანგარიში სამოსწავლო რჩევის განკარგულებით დაიბეჭდათ, დეკ. ვოსტორგოვის აზრი ჩემთვის მოეწერათ, ხოლო ჩემი საკუთარი აზრი დაბეჭდილ ანგარიშიდან სულ გამოეტოვებინათ, მე იმავე დღეს, რა დღესაც სოფელს ბერშუეთში აგარაკად მყოფს (გორის უეზდი) მომივიდა შემოკლებულად გადამახინჯებით დაბეჭდილი ჩემი წლიური ანგარიში, «პროტესტი» დავაწერე და მეორე დღეს გორიდან ფოთს გავგზავნე შემდეგის შინაარსით (12 აგვისტოდან 1904 წ. № 243): „გუშინ მომივიდა სამოსწავლო რჩევის დადგენილობით დაბეჭდილი ჩემგან შედგენილი ანგარიში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლებისა 190 $^2/_3$ სამოსწავლო წლისა. აღმოჩნდა, რომ ანგარიში აქაიქ შეუმოკლებიათ და იმდენად არსებითად შეუცვლიათ, რომ ჩემთვის ამისთანა აზრები მოუწერიათ, რომელნიც მე არას დროს არ გამოცხადებია და ძირითად ჩემს რწმენას ეწინააღმდეგებიან (противорѣчатъ кореннымъ моимъ убѣжденіямъ). ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ჩემს ჩამოსვლამდი, სანამ მოისმენდენ ჩემგან რჩევის სახელზე დამზადებულს მოხსენებას შესახებ ამა საქმისა, არც ერთი ცალი ამ (ყალბ) ანგარიშისა არავის არ დაურიგოთ, არც გაუგზავნოთ, არც წასაკითხად მისცეთ, თუ შეიძლებოდეს ბეჭედი დაადეთ და ასე შეინახეთ პირადად ჩემს მოხსენებამდე... ამაზე რა განკარგულებასაც მოახდენდეთ, შემატყობინეთ შემდეგის ადრესით: ქ. გორი, სოფ. მეჯვრისხევში“ (დამოწმებული პირი ამ საბუთებისა უკვე გავუგზავნე თქვენს რედაქციას).

აბა ახლა კარგად დააკვირდით, მკითხველო, ეს ,,პროტესტი'' ჩემს მოღალატეობას ღაღადებს თუ თავგანწირვამდე ჩემს გამოსარჩლებას ქართულ ენის სასარგებლოდ: მე აქ, ამ ,,პროტესტით'' ჩემს პირდაპირ უფროსებს ვეუბნები: თქვენი აზრი და ჩემი სრულიად წინააღმდეგნი არიან-მეთქი, თუმცა მ. ვოსტორგოვის აზრი, როგორც ვთქვი, მარტო ორჭოფული იყო და არა შემცდარი; მე ამ ორჭოფობასაც ,,პროტესტს'' ვუცხადებ, სოვეტსაც ნებას არ ვაძლევ ერთი ბეწოდაც შეეცვალათ ჩემი აზრი, დაბეჭდილ წიგნებს ხელახლა ვასწორებინებ, ჟურნალის განაჩენითა კანონიერის დამტკიცებით! ამას იზამდა მშიშარა? ან ჩვენი მყვირალონი?!

მალე მე თვითონ ჩამოვედი ფოთს. სამოსწავლო რჩევამ მოისმინა ეს ჩემი „პროტესტი“ და შემდეგი განაჩენი დაადო ჟურნალის დადგენილობით (15—16 სეკდემბრის სხდომა 1904 წ. № 13, მუხლი 5): „ნება დაერთოს ეპარქიის მეთვალყურეს „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს“ (აი, ამ „დეისტვიტელნობამ“ ამირია კიდეც მტრები!) თ. დ. ჟორდანიას შეადაროს დაბეჭდილი მისი ანგარიში შესახებ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლების მდგომარეობისა $190^2/_3$ სამოსწავლოწელს ნამდვილ დედანს და თუ რაიმე შეცდომა აღმოჩნდეს—გაასწოროს'' (დამოწმებული პირი ამ ჟურნალისა უკვე გავუგზავნე თქვენს რედაქციას).

როდესაც ზემოხსენებული განაჩენი სამოსწავლო რჩევისა ეპისკოპოსმა დაამტკიცა, მე შევადარე დაბეჭდილი ყალბი ანგარიში დედანს და მარტო ის ადგილი გავასწორე დედნით, რომელიც მეტად დამახინჯებულად დაებეჭდათ, სწორედ ის ორი ფურცელი, რომელიც ჩაკერებულია ერთის ამოღებულის ფურცლის მაგიერ. არც ერთი სიტყვა არ შემიცვლია დედნისა. ყოველ ეჭვის განსაქარვებლად. „ცნობის ფურცლის“ რედაქციას უკვე გავუგზავნე კანონიერად დამოწმებული პირი თვით დედნისა, სახელდობრ იმ ფურცლებისა, რომელნიც ხელმეორედ დედნით გასწორდა. თუ გნებავთ, შეადარეთ დაბეჭდილი ტექსტი თვით დედანს და დარწმუნდით, რომ ბ. გოგიჩაიშვილი და მისი კამპანია სასტიკად მოღორებულნი ყოფილან და საზიზღარს ცილს

ტფილისიდან მომავალი დილიჯანი საშინელ სისწრაფით დაეშვა თავდაღმართზე და, როცა მეეტლემ თავდაღმართის ბოლოში ცხენები უცებ შემოატრიალა, დილიჯანი გადაბრუნდა. ბოლოში იჯდა ს. ანთოკის მცხოვრები სანდრო ქანგირაშვილი. საბრალო რამდენსამე საჟენზე გასტყორცნა უცებ შემოტრიალებულმა დილიჯანმა. ქანგირაშვილი თავით დაეცა მიწაზე, კისერი ჩაუმტვრა და იქვე სული განუტევა. სხვებიც ბევრი დაშავდნენ, თუმცა არა სასიკვდილოდ.

ქუთაისის ცხოვრება

ძარცვა-გლეჯა და პოლიციური ზომები. ყარაულები ქალაქად და სოფლად. უსარგებლო ჩვეულების გადაგდების სურვილი მდაბიო ხალხში. ავადმყოფ მაზრის წინამძღოლის დიმ. ყიფიანის ტფილისში გადაყვანა. სამღვდელოების შეერთების საჭიროება. მკერავების გაფიცვის დასაწყისი.

ამ უკანასკნელ ხანებში კასირების ძარცვა-გლეჯამ თავზარი დასცა, როგორც მცხოვრებთ, ისე ადმინისტრაციასაც. მცხოვრებლებმა ამ შემთხვევაში მაინცადამაინც რა უნდა იღონონ და მისმა ,,მფარველმა'' ადმინისტრაციამ კი შემდეგ საშუალებას მიმართა ბოროტების მოსასპობად: ყოველ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულების კასებს ხუთ-ხუთი სალდათი თითოს და ერთი ,,დესეტნიკი'' მიუჩინა ყარაულებად.

საზოგადოდ ყარაულები და მეთვალყურეები ძალიან გამრავლეს ქუჩებშიაც, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ ადგილებს, სადაც თოფისწამლის არსენალია გამართული. ამ მიდამოებს ციბრუტივით უტრიალებენ კაზაკები დღე და ღამ. ახლახან ასეთი ყარაულობა სოფლებშიც შემოიღეს. მაგალითად, გუშინ ექვსიოდე სტრაჟნიკი და კაზაკი გაუგზავნიათ სოფელ რიონში (6 ვერსზე ახლავს ქუთაისს) იქაური მიდამოების დასათვალიერებლად. სოფლად სიარულის დროს ისინი მიუპატიჟებლად შესულან ერთ ოჯახში, სადაც მიცვალებულის ტირილი ჰქონიათ, შესხდომიან სუფრას და მადიანად მიურთმევიათ ღვინო...

◆ მესხეთის ქუჩაზე მცხოვრებნი, სასაფლაოს ეკლესიის მრევლნი, რიცხვით ოთხასამდე მოსახლე, ძველი ჩვეულების—სააღდგომოდ სტოლის გაწყობის—წინააღმდეგ გაფიცულან და დღეიდან აღარ სურთ ამ ჩვეულების გამო უსარგებლო ხარჯების გაწევა. ,,ჩვენო,—ამბობენ ისინი,—მოვილაპარაკეთ სააღდგომოდ სტოლის გაწყობის ჩვეულების შესახებ და ერთხმად დავადგინეთ, სამუდამოთ მოვსპოთ ეს ჩვეულებაო''. როგორც მიამბო ამ გადაწყვეტილების გადმომცემმა დურგალმა, მათთვის ეს აზრი არავის ჩაუგონებია,—ხსენებულ ჩვეულების მავნებლობა თავის-თავად შეუგნიათ.

◆ იმერეთის სამღვდელოება წინადადებას აძლევს ქართლ-კახეთისა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას, რათა ისინიც შემოუერთდნენ ამათ მოთხოვნილებებს. საჭიროაო,—ამბობენ მღვდლები,—იმათაც მოილაპარაკონ ამის შესახებ, გასინჯონ იმერეთის სამღვდელოების დადგენილებანი და, თუ რამე დასამატებელია, დაუმატონ და ამგვარად საერთო მოთხოვნილებანი წარუდგინონ მთავრობას ყველასაგანო.

◆ რუსულ ტანთსაცმელის მკერვალების ქარგლები და შეგირდებიც გაფიცნენ. ეს ორი დღეა აღარ მუშაობენ. ისინიც თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას თხოულობენ.

ის—არიძე.

ტფილისის ვაჭართა მამასახლისის განცხადება.

ვაჭართა საზოგადოებამ შესაძლოდ სცნო გაფიცულ ნოქართა შემდეგ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება: 1) დაკანონდეს ყველა სავაჭროებში ცხრა საათის სამუშაო დღე: დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის, ამ დროიდან კი 1—3 საათებს შორის ნოქრებს თითო საათი სადილისთვის მიეცეს; 2) ნუზლ-სანოვაგით მოვაჭრეებს შეუძლიათ გააღონ მაღაზიები დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე; 3) ვინც ერთი წლის ნამსახურია და ავად გახდება, მას უნდა შეუნახოს ერთი თვის განმავლობაში, როგორც ჯამაგირი, ისე ადგილიც, ვინც სამი წლის ნამსახურია, მას შეუნახება ჯამაგირი და ადგილი ორი თვის განმავლობაში, ხოლო ვინც ხუთის ან მეტი წლის ნამსახურია, იმათ ადგილი და ჯამაგირი ოთხი თვის განმავლობაში შეუნახებათ; 4) თითოეულ მოსამსახურეს, რომელსაც ერთი წელიწადი უმსახურნია, ნება ეძლევა ორი კვირით განთავისუფლდეს და ამ დროს ჯამაგირი ეძლევა; 5) იმ ნოქარს, რომელსაც ადი უმიზეზოდ დაითხოვს, უნდა მიეცეს ერთი წლის ნამსახურს—ერთი თვის ჯამაგირი, ხოლო მეტ ნამსახურს—ორი თვის ჯამაგირი; 6) სადილისა და სასადილო ფულის შესახებ საკითხი უნდა გადასწყვიტონ ადებმა და ნოქრებმა ურთი-ერთ შორის შეთანხმებით; 7) ადები და ნოქრები ერთმანეთს ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ, და 8) ყველა გაფიცული ნოქრები ადებმა უკანვე უნდა მიიღონ და გაფიცვის დროს მოცდენილ დღეებში ჯამაგირი მისცენ.

სადღეისო

ძველი ამბავი

გაგიგონიათ ერთი ქალის ამბავი? იმ დროს ხალხი ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო, სცხოვრობდა ტყეში, იკვებებოდა იმით, რასაც მზა მზარეულად აძლევდა ბუნება.

ერთ დაბურულ ტყეში გამარტოვებით სახლობდა ვიღაც მოხუცი თავის შვილებიანათ: ოთხი ვაჟი ჰყავდა და ერთი ქალი. ესენი ეხმარებოდნენ ყველაფერში,—საჭმელს შოულობდნენ მამის ძროხებსა სწველიდნენ.

მაგრამ, საკვირველია,— ქალისაგან მოწველილ რძეს ყოველთვის მეტი ნაღები ჰქონდა, უკეთესი გემო და ბარაქა.

რატომ?

საღამოობით ძროხები ბრუნდებოდნენ შინისკენ და უცდიდნენ ხოლმე ხბორების მოსვლას. ამასობაში ძროხებს ჯიქანში რძე უდგებოდათ, მისი სისუქნე ელექებოდა და ძუძუებთან წყალი ადგებოდათ...

მოდიოდნენ რძის მოსაწველად მოხუცის ვაჟები და ქალი. ქალს არ ეჩქარებოდა საქმის გათავება და ბოლომდის გამოწველიდა ხოლმე ჯიქანს და რძე ყოველთვის სუქანი იყო.

სამაგიეროდ ყოველთვის ჩქარობდნენ ძმები.

ამბობდნენ, სხვა საქმეც ბევრი გვაქვს გასაკეთებელიო, სხვა უფლებებიც გვაქვსო, სხვა რამის გაკეთებაც შეგვიძლიანო.

მხოლოდ ქალი არ ჰფიქრობდა ამაებზე და სწველიდა ძროხებს.—

უფროსი ვაჟი ამბობდა,—მამამ შვილდ-ისრის მოხმარება მასწავლა, ტყეში შემიძლია ამიტომ ნადირობითაც ვირჩინო თავიო.

— მე მეთევზეობა მასწავლა მამამო, სთქვა მეორე ძმამ.

— მე ნავის გაკეთება ვიციო, დაუმატა მესამემ, მოვჭრი ხეს, ნავს გავაკეთებ და გავსწევ სადმე შორს, ახალ ქვეყნების სანახავადო.

— მეც სხვაგან წავალ,—დაასრულა მეოთხემ, აღარ მინდა მარტოკა ყოფნა,—ვიშოვნი სადმე ლამაზ ქალს, მასთან ერთად მოვაწყობ ოჯახს, მე ჩემთვის ვიქნები და ქალი ჩემს მაგიერად მოუვლის ძროხებს და რძესაც მოსწველის.

ყველას საკუთარი სურვილი ჰქონდა, ცხოვრების მიზანი, ყველას ამ მიზნის მისაღწევად შესაფერი უფლებაც ჰქონდა მინიჭებული.

იმდენად იყვნენ გატაცებული ამ სურვილებით, რომ გულდასმით ველარ სწველიდნენ და რძის სისუქნე ჯიქანშივე რჩებოდა.

ბოლოს, ველარ მოითმინეს შინ დარჩენა ვაჟებმა და გამოუცხადეს მამას, სხვაგან გვინდაო წასვლა.

— მე რაღა მეშველებაო, შესჩივლა მოხუცმა.

— შენ რა გიშავს,—ქალიშვილი შინ არა გყავს განა?

— მყავს, მართალია, მაგრამ იმანაც რომ მოისურვოს ნადირობა, მეთევზეობა, მოგზაურობა? იმანაც რომ აირჩიოს ვინმე ყმაწვილი და ცალკე დასახლება რომ მოისურვოს? უთქვენოდ კიდევ გავძლებ როგორმე, მაგრამ უმისოდ კი ვერა, არ შემიძლიან... მისი მოწველილი რძე მსუქანია და გემრიელი.

შვილებმა იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ურჩიეს მოხუცს:

— მამაო! ნუ ასწავლი მას ნურაფერს, ნუ ასწავლი იმას, როგორ უნდა ინადიროს ადამიანმა, ან როგორ უნდა დაიჭიროს წყალში თევზები, ნუ ეტყვი სხვა ქვეყნების ამბავს, ნუ ეტყვი, რომ შეუძლიან ვინმე ახალგაზრდა ყმაწვილთან ცალკე დასახლდეს სადმე. ნუ ეტყვი ნურაფერს, მამაო! იყოს გაუნათლებელი, განუვითარებელი და ყოველთვის შენთან დარჩება ოჯახში და ყოველთვის მსუქანი და გემრიელი რძე გექნება სახლში. ჩვენ კი, ჩვენ... წასვლის ნება მოგვეცი უთუოდ, მამაო! მოგვეცი ნება ჩვენ გზაზე ვიაროთ თავისუფლად, მივიღოთ ცოდნა, შევიძლოთ ძალის მოხვეჭა, შევიძლოთ თავისუფალი ცხოვრება...

ასე ლაპარაკობდნენ ვაჟები. მაგრამ მოხუცი უფრო ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო და ვერ სთანხმდებოდა:

— მერე, თვითონ რომ მიუხვდეს ყველაფერს, რომ გაიგოს თვითონ, როგორ კეთდება ისარი, ან ანკესი, რომ დაინახოს სადმე მდინარეს მეორე ნაპირი, ფრინველთა ბუდე და მათი ოჯახური ცხოვრება რომ დაინახოს,—ხომ აღარ იქნება შესაძლო მაშინ მისი გაჩერება ოჯახში?

შვილებმა იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ურჩიეს მამას.

— ნუ გეშინია, რომ დაინახოს, მაინც ვერაფერს ისწავლის! ნამეტანი სულელი, უგნური რამეა ქალი. რომ დაინახოს კიდეც, თავისუფალ ცხოვრების სურვილი მაინც ვერას დროს ვერ მოუვა, არა აქვს საამისო გაბედულება, ჩვენც არაფერი არ გვეცოდინებოდა, შენგან რომ არ გვესწავლა ყველაფერიო!

მოხუცმა მიუგო:

— არა, ქალი სულელი არ არის! ვშიშობ, ვაი, თუ თავისით მიხვდეს ყველაფერს, იმასაც კი, რასაც თქვენ ვერაოდეს ვერ მიუხვდებით. არა, ქალი არ არის სულელი.

შვილებმა ისევე იფიქრეს და ბოლოს ასეთი რჩევა მისცეს თავიანთ მამას.

— მამავ, უთხარი ჩვენ დას, რომ ქალისთვის სირცხვილია, ცოდვა რამე იცოდეს ან გაიგოს, მოისურვოს...

ეს რჩევა დაუჯდა ჭკუაში მოხუცს...

დაითხოვა შვილები, ნება მისცა,—ენადირათ, ევლოთ სხვადასხვა ქვეყანაში თავიანთ ნებაზე, გაეწყოთ საკუთარი ოჯახი... მისცა თავისუფალ, ადამიანურ ცხოვრების უფლება...

ქალიშვილს კი აუკრძალა რამე შეეტყო, გაეგო ან მოესურვა... და ქალიც სიკვდილის დღემდის სწველიდა ძროხებს, სხვის ნებაზე სცხოვრობდა და სხვის სურვილებს ემსახურებოდა... იყო მონა, მხევალი, ხასა...

და მას აქეთ დღემდის კიდევ არ შეწყვეტილა ასეთი მდგომარეობა...

*

პრესსა

სომეხთა საჭიროებანი.

იყო დრო, როდესაც სომხის მწერლებს (აბოვიანი, რომელმაც დასწერა რომანი: «სომხეთის იარა»), დიდი იმედებით შესცქეროდნენ რუსეთის გაბატონებას.

ოთხმოციან წლებამდის მრავალი სომეხი კავკასიაში თითქმის აღტაცებით იხსენიებდა რუსებს, როდესაც ადარებდნენ რუსების მმართველობას კავკასიაში და ძველი დროის მაჰმადიანთა გაბატონებას. სომხის ერი არ ყოფილა საზოგადოდ საპოლიტიკო უფლებებით განებივრებული უწინდელ დროში და დიდის მოწიწებით მადლობას იხდიდა ყველაფრისათვის.

მაგრამ დროება იცვლება. ლორის-მელიქოვს შედარებით სალიბერალო რეჟიმი, რომელიც არ ავიწროვებდა სომხებს, მოისპო და მის მაგივრად ისევე შემოვიდა შევიწროვება.

რაკი არ იყო საკმარისად მთავრობის ხარჯით შესანახი სასწავლებელი, ამიტომ, 1886 წ. დებულების თანახმად, საზოგადოების, სოფლის, ეკლესიისა და კერძო სჯულ-მომქმედთა ხარჯით აარსებდნენ სასწავლებლებს კავკასიაში. ამ სასწავლებლებმა შესამჩნევად გაავრცელეს განათლება კავკასიაში, ვინაიდან აქ სომხებს ასწავლიდნენ რუსულ წერა-კითხვასაც.

მთავრობის ახალმა პოლიტიკამ პირველადვე ამ სასწავლებლებს მოჰკიდა ხელი. 1885 წ. დაიხურა 500 სომხური სასწავლებელი, ქუჩაში გამოაგდეს თითქმის 30,000 მოსწავლე ბავშვი, ქალი და ვაჟი, 900 მასწავლებელი. ეს განკარგულება ისეთი მკაცრი და უაზრო იყო, რომ შეაწუხა თვით კავკასიის მმართველობა, რომელმაც დართო ნება იმაზე, რომ სასწავლებლები სულ ახლად გაეღოთ. მაგრამ ამასთანავე ისეთ პირობებში ჩააყენეს სწავლის საქმე და მასწავლებლები, რომ სასწავლებელი საზოგადო დაწესებულებების მაგივრად პოლიციური დაწესებულება შეიქმნა. ამიტომ ამ დახურულ სასწავლებლის მაგივრად 1889 წლამდის გაიხსნა სულ ახლად მხოლოდ 120, მაგრამ ამ 120 სასწავლებლის არსებობაც ხანმოკლე შეიქმნა. 1897 წელს ყველა სასწავლებელი დახურეს. მთავრობამ ესეც არ იკმარა და საჭიროდ დაინახა დაესაკუთრებინა სომხის სასწავლებლების ფული და უძრავი ქონება. სომხის ქალთა ერთ სასწავლებლის ქონებათა ჩამორთმევის დროს ერთმა ბიუროკრატმა წამოიძახა: ტყუილია! ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ამ სასწავლებელს უნდა ჰქონდეს ნაღდ ფულად 250,000 მანეთი, თქვენ კი მხოლოდ 25,000 მ. იძლევით. საზოგადოდ სომხებმა კარგად შემალეს სასწავლებლების ფულიო".

მაგრამ კავკასიის გასარუსებლად არ იყო საკმარისი ხალხის განათლებისთვის მოეღოთ ბოლო,—საჭირო იყო საზოგადოების თვითმოქმედების მოსპობა. ამისათვის 1899 წ დაიხურა ტფილისში „კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება“ და 18 მისი განყოფილება კავკასიის სხვადასხვა კუთხეში. ეს საზოგადოება, ნება-დართული 1887 წ., ეხმარებოდა სასწავლებლებს, აარსებდა სახელოსნო სასწავლებლებს, საავადმყოფოებს, სამკითხველოებს მთელ კავკასიაში, აგრეთვე ეწეოდა უბრალო ქველ-მოქმედებას. 1889 წ. დაიხურა ორი დიდი საზოგადოება: «ბაქოს კაცთმოყვარე საზოგადოება», რომელსაც ეკუთვნოდა, სხვათა შორის, ქ. ბაქოში ერთად-ერთი საჯარო ბიბლიოთეკა,—ყველასათვის ხელმისაწვდომი «ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოება ტფილისში» და რამდენისამე წვრილი საქველ-მოქმედო საზოგადოებაც. რამოდენიმე წლის შემდეგ მთავრობამ განსაკუთრებულ წყალობასავით დართო ნება გაეხსნათ ხელახლად ზემოხსენებული სამივე დიდი საზოგადოება, მაგრამ თვითონ გაარკვია მათი მოქმედების გეგმა და «კავკასიის საქველ-მოქმედო საზოგადოების“ წესდებიდან სულაც ამოშალა მუხლი სხვა ქალაქებში განყოფილებათა გახსნის შესახებ.

ჯერი მიადგა იმ ერთად-ერთ საზოგადოებას, რომელიც კიდევ ცოცხალი დარჩა,—„ტფილისის გამომცემელ საზოგადოებას“, რომელიც იყო ნება დართული 1800 წ. და რომელმაც 21 წლის არსებობის დროს გამოსცა 181 წიგნი, მათში 133 წიგი რუსულიდან ნათარგმნი, და ასეთი პატარა გამომცემელი ამხანაგობა, რომელიც წელიწადში $8^{1}/_{2}$ წიგნს სცემდა, საშიში გამოდგა,—და მთავრობამ დახურა იგი 1900 წ. ივნისში.

სომხის დრო-გამოშვებით გამოცემებსაც აყენებდნენ ყოველგვარ შევიწროებას. ახალ გაზეთების ნებას ხომ არ იძლეოდნენ,—უკანასკნელ წლების განმავლობაში დახურეს გაზეთები: „არძაგანკი“, „ნორ-დარი“ და დროებით შეაჩერეს „ტა'აზი“ და საყმაწვილო ჟურნალიც ,,აღბიური''. ორი-სამი დარჩენილი ჟურნალ-გაზეთი მოთმინებით იტანდა ლაგამ-ახსნილ ცენზორთა მოქმედებას.

როდესაც მოუსპეს სიცოცხლე ყველაფერს კავკასიაში,—დარჩა კიდევ სომხების ეკკლესია და მისი ქონება, რომლის შემოსავალიც, სხვათა შორის, უნდებოდა ქველ-მოქმედებას. საჭირო შეიქმნა ეკკლესიის შევიწროვება. არ იკმარეს საღმრთო სჯულის დედა-ენაზე სწავლების აკრძალვა, ეკკლესიას მისი ქონებაც წაართვეს და ეს უკანასკნელი ზომა, რომელიც ეხებოდა მთელ სომხის ერსაც, 1903 წ. მოიყვანეს სისრულეში მაგრამ აქ სომხებმაც ამოიღეს ხმა... ამას მოჰყვა რამდენიმე მკვლელობა, დატუსაღება, ,,საეჭვო'' პირთა გადასახლება კავკასიიდან. 1881—1903 წ.წ. საპოლიტიკო საქმეებზე იყო ჩასმული ციხეებში და გადასახლებული რუსეთში მხოლოდ 200 კაცი, ამათში 7 მწერალი; მარტო ერთ 1903 წ. თ. გოლიცინმა 200 კაცზე მეტი სომეხი გადაასახლა რუსეთში.

ასეთია სომეხთა მდგომარეობა კავკასიაში: თან დათან უარესი ხდება. სომხების ძველ იარას მოჰყვა ახალი. ამ ახალ იარის მიზეზი იყო ბიუროკრატია და არა თათარი. ამ ბიუროკრატიამ შეავიწროვა ,,თავისუფალი'' კავკასია, გაანადგურა ,,ავაზაკი'' კავკასია, გადმოასახლა ისედაც უმიწაწყლობით შეწუხებულ ქვეყანაში შიდა-გუბერნიებიდან რუსები, გადაამტერა ერთმანეთს კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ერი. Divide et impera,—აი კავკასიაში მომქმედ ბიუროკრატიის მიზანი, რომელსაც იგი ყოველთვის დიდის ხელოვნებით ემსახურებოდა. კავკასიაში მცხოვრები $1^{1}/_{2}$ მილიონი სომეხი ვერც მოქალაქეებად ჩაითვლებიან, ვერც ქვეშევრდომებად,—ისინი მხოლოდ ხარჯის გადასახდევინებლად არსებობდნენ და არსებობენ. ჩინოვნიკებს ყველგან ელანდებოდათ სეპარატისტობა, რომლის გავრცელებას სომხებში თვითონვე ცდილობდნენ. თვით სომეხ-რევოლიუციონერთა პროგრამაში ერთი მუხლიც არ არის ისეთი, რომ მოითხოვდეს სომხეთის ჩამოშორებას რუსეთისაგან. სომხებს ეს ჩამოშორება როდი ენატრებათ, მათ უნდათ ის, რაც ენატრება თვით რუსებს—უნდათ საერო თავისუფლება. სანამ მათ ყოველნაირად ავიწროვებდნენ, უსპობდნენ ყოველგვარ უფლებას,—არც უნდა ყოფილიყო საკვირველი, თუ ისინიც ცივად ეკიდებოდნენ მათ საერო სამშობლოს—რუსეთს. უფლებას მოკლებულ ადამიანს არა აქვს სამშობლო,—ამბობდა უნგრელების მწერალი პეტეფი. სომხებსაც უნდათ უფლება, ისინი იბრძვიან ადამიანის უფლებებისთვის და არა დამოუკიდებლობისთვის. სომხებს ესმით, რომ მათი შემავიწროვებელია რუსის ბიუროკრატია და არა რუსის ხალხი ან მისი ინტელიგენცია. სომხები დიდ პატივს სცემენ რუსის მოწინავე ინტელიგენციას და მოკლებული არიან ყოველგვარ სეპარატისტობას. მათ უნდათ კავკასიისთვის ასევე ის, რასაც ამ ჟამად თითქმის მთელი რუსეთი ითხოვს თავისთვის,—მათ უნდათ პოლიტიკური თავისუფლება *)...

ვ. ტოტომიანცი.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“ თავიანთ თავს მოვალედ სთვლიან აცნობონ მეაბრეშუმეებს, რომ საზღვარ-გარეთის ბაზრებზე აბრეშუმის ძაფისა და პარკის ფასების მდგომარეობა სრულებით არ არის ისეთი უნუგეშო, როგორც ზოგიერთსა ჰგონია, და ამიტომ საფუძველი არა აქვს მეაბრეშუმეებს, უხალისოდ მოეკიდნენ აბრეშუმის თესლის ყიდვას. მეაბრეშუმეები უთუოდ იმიტომ იქცევიან ამნაირად, რომ დააფიქრა იმ გამოურკვეველმა მდგომარეობამ, რომელშიაც ეხლა ჩვენი მხარეა ჩავარდნილი საერთოდ; მაგრამ საჭიროდ ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ საზღვარ-გარედ ბაზრის მიხედვით ფუთი ნედლი პარკი ეღირება, ორთა შუა რიცხვით, თოთხმეტ-თხუთმეტ მანათად (პირველი ხარისხისა ხმელი პარკის კილო ფასობს დღეს 9 ფრანკი—9 ფრ. 25 სანტიმი) და დღეს პარკობა რომ დაწყებული ყოფილიყო, ორივე ამხანაგობა ამ ფასებს ეხლავე გაიღებდა პარკში. ორსავე ამხანაგობას დღესვე შეუძლიან წინდაწინვე გაჰყიდოს ამ ფასებში პარკი, დარწმუნებული რომ იყოს, მეაბრეშუმეებისგან პარკს ამ ფასებშივე ჩაიბარებდეს.

ზემორე აღნიშნული ორივე ამხანაგობა ამასთანავე უცნობებს მეაბრეშუმეებს, რომ წრეულ შემოსულია დიდძალი თესლი, რომელშიაც ბლომად ურევია არასაიმედო თესლიც, და ამიტომ თესლის შეძენის დროს მეაბრეშუმეებს სიფრთხილე მართებთ, რისთვისაც გურჩევთ თესლის სიიაფით არ მოტყუვდნენ.

დავსძენთ აქვე, რომ ხალხის ნივთიერად დაქვეითების დროს ხელის აღება ისეთ სახალხო საქმეზე, როგორიცაა პარკის წარმოება, რომელიც ქუთაისის გუბერნიის ოთხ მაზრაში წვრილ მწარმოებლებს ორ მილიონ მანათამდე უტოვებს, უსაფუძვლოა და ამიტომ ხალხში გავრცელებულ შიშის გამო თვენახევრის სამუშავარზე გული არავინ არ უნდა აიცრუოს.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდას“ გამგეობა.

მწამედენ, როდესაც ჩემი მოღალატეობა გამოაცხადეს და აუარებელი სალანძღავი სიტყვები აკადრეს ჩემს მოღვაწეობით დატვირთულ პიროვნებას, ქართულ ენისთვის მრავალჯერ და მრავალგვარად ტანჯულ-წამებულს კაცს! შედარება ამასაც დაგანახვებთ, რომ ჩემს წლიურ ანგარიშში მეგრულის ქართულ ენობას კი არ უარვყოფ როგორც მითქვამს, არც იმ ყალბ ანგარიშში (ეს, სწერია და ბოროტ-განზრახვით მოგონილია იმ არა-წმიდა სამებისაგან), პირ-იქით—იქ მე მეგრელების ქართველობას ვამტკიცებ: „მე (ე. ი. თ. ჟორდანიამ) ერთი კაციც არ ვიცი იმისთანა, რომელსაც შეეძლოს სთქვას, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო“ („я не знаю ни одного человѣка, который могъ-бы сказать, что мингрельцы не-грузины“) და სხ. შედარება იმასაც გამოაშკარავებს, რომ გასწორებულად დაბეჭდილი ანგარიში დედანთან სწორია და საზოგადოთ ჩემგან დაბეჭდილს პირველს წერილში (,,ცნობის ფურცელი'', 22 თებერვალი) აღწერილი გარემოება თითოეულად ჩემგან რედაქციისადმი გაგზავნილ შეურყეველ საბუთებით (აფიციალურ ქაღალდებით) შემოწმებულია და დამტკიცებული. ღმერთმან ჩემს პირს სიცრუე ნუ ათქმევინოს, რომელსაც ახალგაზდა ძალად-მეცნიერნი პატრიოტნი, სამწუხაროდ, დიდად არ ერიდებიან, ხოლო მოღვაწეთა გალანძღვა-გაწუმპვა სასახელოდ მიაჩნიათ! მე ქება-დიდებას არ ვეძებ, მაგრამ გინებას სწორედ არ მოველოდი!... „ვაჰმე, რამეთუ დავკნინდით, და მოგვაკლდა ჩვენ!“

მორჩა და გათავდა! დედა-ბოძიანად დაირღვა ის სამარცხვინო ვეებერთელა სიცრუის გოდოლი, რომელიც ჩემს „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობაზე“ ააშენეს ჩემმა მოშურნე-მტრებმა, ხოლო უკანონოდ ნაშოვნი ყალბი ანგარიში მარტო საბაბად, საჩვენებლად გამოიყენეს. სულმოკლე მტრებს დავიწყებიათ, რომ „დეისტვიტელნობა“ მე მომცა თვით თანამდებობამ, ანუ კანონმა და არა უფროსების გულკეთილობამ; ისიც არ სცოდნიათ, რომ ამ ჩინზე მე წარმადგინა თვითონ ალექსანდრე ეპისკოპოსმა!

ახლა რაღა დარჩა ბ.ბ. ,,კალმის'', ფ. გოგიჩაიშვილის და ,,ნარის'' სტატიებიდან?—მარტო აუარებელი უმწვერვალესის ღირსების სალანძღავი სიტყვები (მეტი არა რა!), რომელიც რედაქციას ვთხოვ დაუბრუნოს პატრონებს.

ბ.ბ. ,,კალამი—ნარ-გოგიჩაიშვილი'' კიდევ აი რას მამხილებენ: მთელს ქართველობას გაზეთით დაჰპირდაო, რომ ქართულ ენის დამცველი ვარ და ჩემს სიმართლეს მალე დავამტკიცებო (,,ივერია'' 1903 წ. 12 ოკ.); მაგრამ ეს დაპირება არ შეუსრულებიაო. ამაზე ეს მომიხსენებია: იმ ბატონებს თვალი აურიდებიათ, თორემ მე ჩემი დანაპირი მაშინვე შევასრულე თვით საქმით (ოღონდ გაზეთებში არ მიყვირნია!) და არა სიტყვით: მარტოდ მარტომან ბრწყინვალედ დავიცევი ქართული ენა იმ განსაცდელისაგან, რომელიც ჩემს ანგარიშში აღწერილი და დიდის შეცადინეობით ფრიადის წინდახედულობით და მოხერხებით ღვთის შეწევნით მთავრობას ოფიციალურად შემოვიღებინე ქართული ენა ყველა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, სხვების ინტრიგობით განდევნილი. დაპირების აღსრულებაც აი ასეთი უნდა! ხოლო თქვენ რომ სრულწლოვანებს ვექილად დაუდექით და წინდა-წინვე გადაწყვიტეთ მათი გამართლება და ჩემი ძალად გამრუდება—ეს დიდად არცხვენს თქვენს ზნეობას მართლმსაჯულობას!

კიდევ ბ.ბ. ,,ნარი'' და გოგიჩაიშვილი მიკიჟინებენ: საეკლესიო სკოლა იდეალად მიაჩნიაო, სარწმუნოება—ქვაკუთხედ ზნეობისაო, მღვდლების ხელზე მთხვევას ქადაგებსო, ,,ჩინოვნიკების'' —სალამის მიცემასო, უფროსების პატივისცემას, ტოლებთან ,,კეთილ-ზრდილობას'', საზოგადოებაში ,,კარგს მიმართულებასო'', ეკლესიაში სიარულს, დასცინიან ჩემს მორწმუნეობას, მოსწავლეთა „მტკიცე სარწმუნეობაში აღზრდას“,—ყველა ამაზე აი ეს მომიხსენებია: მეოცე საუკუნის მინისტრთა კრებამ გამოაცხადა თავისუფლება სარწმუნოებისა და სვინიდისისა, ხოლო ბ-ნ გოგიჩაიშვილ-ნარ-კალამს უნდათ სარწმუნოებაზე და სვინდისზედაც ძალად ხელი ამაღებინონ! თუ ეს თავისუფლება ყველასია, მე თავისუფალი უნდა ვიყო ვიქონიო საკუთარი რწმენა და სვინდისი უყვედრელად; ხოლო ვისაც ეს მეტბარგად მიაჩნია—მე დამშლელი არა ვარ, გადაავდოს! მერე და სხვა რომ არა იყოს რა, მე, საეკლესიო სკოლების გამგეს, განა შეიძლება მეყვედროს, რატომ საეკლესიო სკოლის პროგრამას და აღზრდის გეგმას ასრულებო? ნუ თუ კალამ-ნარ-გოგიჩაიშვილის ბრძანებას უნდა მივყვე, რომ ჯერ არავითარი ბრძანება არ გამოუციათ: თქვენ, ბატონებო, გულში მღერით და აბა მე ბანი როგორ გითხრათ?

კიდევ ბ. გოგიჩაიშვილი მაყვედრებს: პროპაგანდისტების „ნედოუჩკობას“ სწერო. ამაზე ეს მომიხსენებია: ორი ჩემი მასწავლებლები გაერია პროპაგანდისტებში (ამიტომაც აღვნიშნე ანგარიშში) და რომ მე პროპაგანდისტები მეცნიერად, გინა ფილოსოფოსებად გამომეცხადებინა იმ საწყლებს ყურადღებას მიაქცევდნენ, მართლა დიდი რამ ეგონებოდათ (მთელი იაპონია.), ხელს სტაცებდნენ და იქით გააქანებდნენ, საით არ უნდოდათ. ხოლო რა-კი მე ესენი უბრალო მევირალი-„ნედოუჩკებად“ გავაცანი უფროსებს—მითი გამოვიხსენ ჩემი მასწავლებლები (და სხვებიც) უარესისაგან. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც ზეცაში ღმერთსა უარ ჰყოფს და ქვეყანაზე დედ-მამა ნათესაობას, იმას მე თუნდაც, ძალიან გეწყინოთ, მაინც „ნედოუჩკებს“ დავუძახებ!

დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. ბ. ნარ-კალამ-გოგიჩაიშვილი გინებას არ მჯერდებიან, არამედ ნაცემ-ნაგინებ-ჯვარცმულს კიდევ საოცარის ბოროტებით დამცინიან. თავები რომ კატის ქლესს დღესასწაულობდენ—სწორედ ისე მოსდით. მაგალითად, ბ. ბ. ნარ-გოგიჩაიშვილს სასაცილოდ არ ყოფნის ჩემი თავი, როგორც „ჩინოვნიკი მწერალი“ (ესე იგი: როგორ შეიძლება „ჩინოვნიკი“ მწერლებში გავირიოთო, გვერდს მოვისვათო!), ანუ ,,ჩინოსანი მოღვაწე'' (ე. ი. ჩვენ ,,ჩინოსნებს გარდა'' არავის აქვს უფლება მოღვაწეობის სახელი ატაროსო! და ეს ,,ჩინოსანი მოღვაწე'' იმიტომ ეჯავრებათ თურმე უჩინოსნებს, რომ ,,ამაყად გადმომხედნი ბრძანებულან უჩინოებზე'', როგორც ეთანხმება ,,ნარიც'' რასაკვირველია, ეს ჩინოსნების ,,ამაყობაო'', საქმეს რომ აფუჭებს!); უკიჟინებს ჩემს „სტატსკობას'', ხოლო ,,დეისტვიტელნობას'' ხომ მთლად წესი აუგეს, აითვალწუნეს: თუმცა-კი დარწმუნებული ვარ, კატას რომ ძეხვი შესწვდენოდა პარასკეობით არც ,,სტატსკობას'' დაიწუნებდა და არც ,,დეისტვიტელნობას'' გადააგდებდა!. წარმოიდგინეთ, რომ ბ. ნარი დიდს კვლევა-ძიებაში ყოფილა ჩემს ,,დეისტვიტელნობაზე'' და აი რა ახალი ცნობები აღმოუჩენია: ,,სწორედ იმ სადავო ანგარიშის შემდეგ მიუღიაო თ. ჟორდანიას დეისტვიტელნობაო'', რადგან ანგარიშს ,,სტატკობით'' ხელს აწერსო; აქიდან ცხადიაო, რომ ,,დეისტვიტელნობა'' ამ ანგარიშმა მოუტანაო'' (დიდება აღმოჩენას!). ამასთან ,,ნარს'' ისიც გამოუკვლევია, რომ მე საბაზრო პატრიოტი ვარ'', ბიუროკრატიის გამათახსირებელ გავლენით წარმოშობილი ჩინოსანი რომელიც ,,იმას დაუკრავს თავს, რასაც უბრძანებენ''. ყველა ამაებზე მე ეს მომიხსენებია: მე ერთი წელიწადიც რომ მეწერა, ისე ხელოვნურად მაინც ვერ დავხატავდი ამ ძმა-ბიჭების სულის კვეთებას: მაშ ჩემგან დუმილი იკმარეთ *)!..

თ. ჟორდანია.

---

*) „ცნობის ფურცლის“ და „მოგზაურის“ რედაქციებს ვთხოვ ეს წერილი თავისს გამოცემაში გადმობეჭდონ.

ავტ.

*) „სინ. ოტეჩესტვა“.

თეატრი და ხელოვნება

კვირას, 27 მარტს, სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ, არტისტის აბელიანის საბენეფისოდ, წარმოადგინეს ფილიპის 3 მოქმედებიანი დრამა, „კაცობრიობის კეთილისმყოფელნი“ და „დონ-კარლოსიდან“ მესამე მოქმედება. შესანიშნავად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნმა, მაისურიანმა (ეკატერინე), ადამიანმა (პაული).

ძლიერ კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ბ-მა აბელიანმა (ექიმი მარტიუსი), ზარიფიანმა (ექიმი კაიზერი) ჰარუთიუნიანმა, (კომსალბა). ბენეფიციანტს მიართვეს დაფნის გვირგვინი. წარმოდგენას დაესწრო დიდძალი ხალხი, რომელიც აღტაცებულის ოვაციებით დაუხვდა ბ-ნ აბელიანს.

შემდეგი წარმოდგენა იქნება სამშაბათს, 29 მარტს, ქ-ნ ადამიანის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება ბარრეტის 4-მოქმედებიანი დრამა „ახალი მოძღვრება“.

რუსეთი

პოლონეთში საყურადღებო ცვლილებათა მოხდენას აპირობენ. როგორც გაზ. ,,ნოვოსტი''-ს შეუტყვია, ჯერ იქმნება აღძრული მსჯელობა პოლონეთში ერობის შემოღების შესახებ; რაც შეეხება პოლონურ ენის პოლონეთის სკოლებში შემოღებას, ამ საკითხს გამოარკვევს ადგილობრივ წარმომადგენელთაგან შემდგარი საბჭო. (რ. ვ.).

ამ დღეებში პეტერბურგში მოხდა სოფლის მასწავლებელთა და მოღვაწეთა კრება. კრებამ შეიმუშავა მოხსენება სახალხო განათლების საჭიროებათა შესახებ. მოხსენებას ხელი ჯერ-ჯერობით 256 კაცმა მოაწერა. გადაწყვეტილია, შესდგეს კავშირი იმ პირთა, რომელნიც უერთდებიან მოხსენებაში გამოთქმულ აზრებს (რ. ვ.).

„ბნელ-ძალებს“ თავისი მოღვაწეობა ქალაქებიდან სოფლებში გადაუტანიათ, როგორც ამას სარატოვიდან იუწყებიან. სოფლებშიც დაუწყიათ ,,პატრიოტული'' აგიტაცია და გლეხკაცობას მასწავლებლებისა და მოღვაწეთა წინააღმდეგ აქეზებენ. (რ. ს.).

სარატოვში მოხდა ქალთა პირველი მიტინგი, რომელსაც 800 ქალი დასწრებია. ქალებს გადაუწყვეტიათ ისეთივე უფლებანი მოითხოვონ, როგორიც მამა-კაცებსა აქვთ (ნ.).

პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმე. 5 აპრილს ირკუტსკის სამოსამართლო პალატა განიხილავს აპელაციის წესით გასაჩივრებულს 55 პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეს. ესენი იაკუტსკის გუბერნიაში გადაუსახლებიათ შიდა-რუსეთიდან, იაკუტსკში შეიარაღებულან და ამბოხება მოუხდენიათ. ამის გამო იაკუტსკის ოლქის სასამართლოს ყველასთვის 12 წლით კატორღა მიუსჯია. ამბოხების დროს მოუკლავთ ორი ჯარის კაცი და ბარიკადებზე დაჭრილა ორი მეამბოხე. პალატაში ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცნი ვექილნი ა. ს. ზარუდინი და ვ. ვ. ბერენშტამი (რ.).

გლეხთა მოძრაობა რუსეთშიაც გაძლიერდა. 16 მარტს კრება ჰქონდა პოლტავის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ამ მოძრაობის შესახებ მოხსენებაც წაიკითხეს და შემდეგს აზრს დაადგენენ: 1) მმართველ კლასისა და უფლება-უპირატესობათა მქონე წოდების უსამართლო მოქმედებამ დღითი-დღე იმატა, აავსო გლეხთა მოთმინების ფიალა და ამას შედეგად მოჰყვა — უწესოება; გლეხები დარწმუნებულნი არიან, რომ ადმინისტრაცია და მემამულენი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ, გლეხებს ერთად ავიწროვებენ და ამის შედეგია—ყოველგვარი არეულობა; 2) რადგანაც საზოგადოდ სოფელი მმართველ კლასთა მეოხებით სიბნელის მორევში სცურავს და რადგანაც, იმავე კლასთა წყალობით, აღკრძალულია კანონიერების ფარგალში უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება, ამიტომ გლეხები თითქმის ველურობის დროის ღონისძიებასა ხმარობენ მათ შემავიწროვებელთა წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად; 3) ძირითადი მიზეზი გლეხთა მოძრაობისა და აქედან წარმომდგარი უწესოება ის არის, რომ ადგილ-მამული მხოლოდ მშრომელ ხალხის საკუთრება უნდა იყოს, და არა ქვეყნის მუქთა-მჭამლებისა; 4) სწორედ ამითი აიხსნება ისიც, რომ სოფლის მშრომელი ხალხი — გლეხობა—პატივისცემით არ ეკიდება მემამულეთა საკუთრებას, გარდა იმისა, რომ ჩვენს დროში, მოწამლულ ატმოსფერის წყალობით, საზოგადოდ გამეფებულია პიროვნების აბუჩად აგდება. და იმ ქვეყანაში, სადაც პიროვნებისადმი პატივისცემა არ არსებობს, არც კერძო საკუთრებას ექცევიან პატივისცემით; 5) აგრარულ მოძრაობის არა-კულტურული ფორმები თავისთავად მოისპობა, თუ გლეხებს მიეცემათ უფლება მშვიდობიანად გამოსთქვან თავიანთი მოთხოვნილებანი (გაფიცვა, ბეჭდვით სიტყვა, საერო წარმომადგენლობა და სხ.); 6) ადგილ-მამული სახელმწიფო უნდა იქმნეს. ამის მიღწევა მით უფრო ადვილია, რომ ადგილ-მამული მაინც ხელიდან ეცლება თანდათან თავადაზნაურობას, და ამიტომ არა აქვს საფუძველი თავად-აზნაურობისაგან ამ მოთხოვნის წინააღმდეგობას, და სხვ.

მექანდაკეს თ. ტრუბეცკოის მოუვიდა საფრანგეთიდან წინადადება, რომ წარადგინოს **ლ. ნ. ტოლსტოის ძეგლის პროექტი.** ამ ძეგლის დადგმას აპირობენ პარიზში საფრანგეთში შეგროვილ ფულით. ამნაირად, ლ. ტოლსტოის ძეგლი საფრანგეთში უფრო ადრე იქმნება დადგმული, ვიდრე რუსეთში.

უცხოეთი

ოსმალეთი. მაკედონიაში საქმე დღითი-დღე უფრო მწვავდება და საშიშარ სახეს იღებს. დახავსებული, დაუძლურებული ოსმალეთი, რომელიც მხოლოდ იმიტომ განაგრძობს თავისს დღედათვლილ სიცოცხლეს, მხოლოდ იმითი სარგებლობს, რომ ევროპის კულტუროსანი სახელმწიფონი ერთმანეთში ვერ მორიგებულან და ჯიბრსა და ქიშპობაში გართულნი საერთო „კონცერტის“ მაგიერ თვითოეული მათგანი ცალკე გაჰკივის საკუთარის ინტერესების მოძახილს.

ოსმალეთი დღეს ბუნაგია, საცა იბადება და ადვილად ფეხს იდგამს ძალმომრეობა და ადამიანური ღირსების შელახვა. ამის დასამტკიცებელი საბუთები ყოველ დღე გაზეთებში მრავალი იწერება და ამასვე ამტკიცებს ის სისტემატიური ამოჟლეტა ბულგარელებისა მაკედონიაში, რომელიც, გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის მთავრობის მიერ მომზადებული თუ არა, ნებადართული და წაქეზებული მაინც არის. სოფიის გაზეთის „რეფორმის“ სიტყვით, ამჟამად ოსმალებს სისრულეში მოჰყავთ ამისთანა ამოჟლეტის გეგმა. საკმარისია სრულებით უბრალო საბაბი, რომ ოსმალეთის ჯარი და ჟანდარმერია თავს დაეცეს ბულგარელების სოფლებს და ნაცარ-ტუტა აადინოს. ბულგარელ ინტელიგენციის ამოსაწყვეტად ოსმალები ბერძნებს აქეზებენ, უსევენ მათ და თავისუფლად აწვდიან საჭირო იარაღს და ტყვიაწამალს მაშინ, როცა ბულგარელები იარაღ-აყრილნი არიან და თავის დაცვის უფლებაც არა აქვთ. და თუ ბულგარელმა გაბედა, იარაღი იშოვა და თავის ცოლ-შვილს მფარველობა გაუწია, ვაი იმას, რადგანაც მთავრობა მას ღალატს დააბრალებს და, როგორც მოღალატეს, სიკვდილითა სჯის.

აი, ასეთი ამბები ხდება ყოველთვის იქ, საცა პოლიციაა გაბატონებული, საცა საზოგადოებას მონობის ბორკილი ადევს და მეწველ ფურად ჰყავს გადაქცეული მთავრობას, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი აქვს გამოცლილი და მხოლოდ უსიტყვო მონობის ატმოსფერაში ითქვამს სულს.

მაგრამ ევროპა? ნუთუ ეს სასიზღრობა მის „კულტურულ“ შეხედულებას არ აშფოთებს და არავითარ ღონისძიებას არ ხმარობს, რომ ბოლო მოუღოს ამ საძაგლობას? როგორ არა, აშფოთებს ევროპას ეს და აკი ხმარობს კიდეც ღონისძიებას—სიტყვებს, მხოლოდ სიტყვიერ მუქარას, და მაკედონელთა ბედის გაუმჯობესობას მხოლოდ ლამაზ-ლამაზ დაპირებით აპირობს.

მაგრამ აევსოთ მაკედონელებს მოთმინების ფიალა, დაეკარგათ ნდობა ევროპისადმი, მისი აღარა სჯერათ-რა და ეხლა, როგორც იქიდან მოსული ცნობები ამტკიცებს, მაკედონიის თვითონ სურს თავის თავს მოუაროს და ბულგარიის დახმარებით ოსმალეთის ბორკილებიდან თავი გაინთავისუფლოს.

ბიბლიოგრაფია

საქართველო მე-XVII საუკუნეში

(პატრიარქის მაკარის მოგზაურობა საქართველოში. „Правосл. Собесѣдникъ“, იანვ.)

ანტიოქიის პატრიარქის მაკარის მოგზაურობა რუსეთში უკვე გადმოთარგმნილია არაბულით რუსულად პროფ. მურკოსის მიერ. იმავე მე-XVII საუკ. პატრიარქმა მაკარიმ თავის შვილით, არქიდიაკონის პავლეს თანამგზავრობით, ინახულა საქართველო და აღწერა ეს მგზავრობა, რომელიც აქამდის არ იყო გამოცემული არც არაბულად და არც ნათარგმნი სხვა რომელსამე ენაზე. ამ წლის დამდეგს ყაზანის სასულიერო აკადემიის ჟურნალში „Православный Собесѣдникъ“ დაბეჭდილია სათაურით „საქართველო მე-17 საუკუნეში“ დასაწყისი არაბული დედანის და რუსულად თარგმნილის მაკარის მოგზაურობის საქართველოში. გამოცემა და გადარუსულება ამ ჩვენი ისტორიის შესასწავლად საყურადღებო ნაშთისა ეკუთვნის პ. ჟუზეს. დედანი ამ მოგზაურობისა დაცულია ვატიკანის წიგნთ-საცავში და მისი გამომცემელი ხელმძღვანელობს ფოტოგრაფიულად გადმოღებული ასლით, რომელიც პ. ჟუზესთვის გამოუგზავნია ო. ს. ლებედევისს, აღმოსავლეთის გამომკვლევთა საზოგადოების თავმჯდომარეს. ენა ამ ხელნაწერისა რუსულ-არაბულია, რომელიც გავრცელებულია ხალხში, თუმცა ადგილ-ადგილ სჩანს გავლენა ლიტერატურული მიმოხვრისა. მრავალ-სიტყვაობა და გაჭიანურებული განმეორება ჰმოწმობენ, რომ მოგზაურობა შედგენილია დაქანცული ავტორის-მიერ. რა დროს ეკუთვნის ხელნაწერ, პ. ჟუზე გადაწყვეტით ვერას ამბობს, რადგან დედანი არ უნახავს და მისი ასოების მოყვანილობით და ლამაზი ხელით ვერ ჰბედავს თარიღი დაუსვას. შემდეგ, როცა ხელნაწერს ნახავს, ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდება. მაკარის მოთხრობიდან სჩანს, რომ იგი იყო საქართველოში 1664—1666 წ. განმავლობაში, დაახლოვებით გატარა მან ჩვენში წელიწად-ნახევარი. ეს დრო მან მოიხმარა საქართველოს შესასწავლად სარწმუნოებრივისა და პოლიტიკურის მხრივ. შემდეგ თავის შთაბეჭდილებანი შეავსო, როცა საქართველოზე გაიარა მოსკოვიდან დამასკისაკენ, სამშობლოში.

არქიდიაკონმა პავლემ აღწერა მამის მოგზაურობა რუსეთში. საქართველოს აღწერა, პ. ჟუზეს აზრით, შედგენილია თვით პატრიარქ მაკარის-მიერ შვილის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. 1669 წ. ამას მოწმობს ენა საქართველოში მოგზაურობისა, რომლითაც იგი განსხვავდება დიდ, ანუ რუსეთში მოგზაურობის აღწერის, ენისაგან.

პირველი თავი მაკარის საქართველოში მოგზაურობისა შეიცავს ქართველი ერის ქრისტიანობის მიღების ამბავს. იგი გვარწმუნებს, რომ საქართველოში თავდაპირველად სახარების ქადაგება შემოიტანა პირველ-წოდებულმა ანდრია მოციქულმა. შემდეგ მოგვითხრობს წმ. ნინოს მოღვაწეობას, ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის მოსვლას ქართველთა მოსანათლავად. ამ ღვაწლისთვის ქართველთა მეფემ აჩუქა ათასი სოფლის შემოსავალი მირონის სასყიდლად. შემდეგ აღწერილია, როგორ პოლიტიკური მიზეზით მე-VIII საუკ. პატრ. თეოფილაქტეს დროს (744—750), დავით აფხაზთა მეფის თხოვნით, საქართველოს ეკლესიას მიეცა ნება თავიანთა კათოლიკოზის ამორჩევისა. პირველ პატრიარქად ამორჩეული იქმნა იოანე. მე-X საუკ. ქართველს კათოლიკოზს მიეცა ნება მირონის მოხარშვისაც. ეს მოხდა პატრიარქ თეოდოროს დროს (970—975?).

მეორე თავი შეიცავს ცნობებს ქართველთა ღირსებისა და ნაკლულოვანების შესახებ. მოთხრობა იწყება იმით, რომ ავტორი გვარწმუნებს, ვითომც ძველად საქართველოს ერთი მეფე ჰყავდა და მისი ხელმწიფება ვრცელდებოდა ტრაპიზონიდამ ლაზიით ვიდრე გურია-სამეგრელო, იმერეთ-ტფილის-კახეთამდე. ჩამოთვლილია მთიული ხალხნი, რომელნიც ემორჩილებოდნენ საქართველოს: აბხაზნი, ჩერქეზნი, ჯავახნი, ქასაგნი, სვანელნი, თუშები, დვალები, ოსები, ლეკები, დიდოელნი, ხევსურნი, ქისტები, ყუმუხნი, გალიფონი (?) და ყაიარები (?). მე-XV საუკ. (1450 წ.) საქართველოს მეფემ გაუყო სამეფო თავის შვილებსა და მას შემდეგ დაიწყო არეულობა და ძმათა შეტაკებანი. ამით ისარგებლეს უცხოელებმა და საქართველოს გვერდები ჩამოათალეს. ამავე მიზეზით განდგა სამცხე, კახეთი დაიპყრა სპარსეთმა: ქართლ-კახეთის მეფენი ვასსალები შეიქმნენ ყაენისა. იმერეთი და სამეგრელო ოსმალების მოხარკენი გახდნენ. სამეგრელოშიო 80 კომლი მცხოვრებია. ამდენივე ირიცხება იმერეთში და კახეთში, გურიაში კი მცირეა ამაზეო. ამ ქვეყნების მეფე ცხოვრობდა წინად ქუთაისში, ჩვენს დროში აქ მეფობდა პანკრატი (ბაგრატი), წმ. ევსტათის ჩამომავალი. შემდეგ რამდენიმე სიტყვით აღწერს მაშინდელს სამეგრელოს მდგომარეობას. ამას დასძენს, რომ სამეგრელო, იმერეთი, გურია, ტფილისი და კახეთი უდრის თავის სივრცით ოსმალეთში საფაშოს. აქაური მცხოვრები მომეტებული ნაწილი ქრისტიანია (მართლმადიდებელი), ტფილისში მრავალი ეკლესიაა: ერთი კათოლიკოზისა, მეორე მიტროპოლიტისა და მესამე ხანის ცოლისა, რომელიც ჩამომავლობით უნდა იყოს ქართველი და სარწმუნოებით ქრისტიანი.

აი, მოკლედ შინაარსი გამოცემულ ნაწყვეტისა. შემდეგ გაგაცნობთ მკითხველს გაგრძელებას და შევადარებთ პატრ. მაკარის ცნობებს სხვა თანამედროვე წყაროებს.

ა. ხახანაშვილი.

კორესპონდენცია

ოზურგეთი. 24 მარტს ღამით სად. ნატანების გზაზე მოჰკლეს ს. გურიანთის მცხოვრები გლეხი ნიკოლოზ გოხიძე.

23 მარტს ღამით, აქიდან გაიქცა ერთი კაცი, თან წაიღო თოფი და პატრონები.

24-ს ღამით მთელ ბაზარს ჯარები შემოარტყეს და ყველა მაღაზიები გაჩხრიკეს. დაჭერით არავინ დაუჭერიათ და არც უნახავთ რამე „აკრძალული''.

იმავე დღეს რამდენიმე კაცი ამოიყვანეს გურიანთის საზოგადოებიდან დაჭერილი.

ქალაქში სხვაფრივ სიმშვიდეა, მხოლოდ ქუჩაში მდგომი პატრულები ყველა მიმავალ-მომავალს ჩხრეკენ და ჯიბეებსაც უსინჯავენ... მერე კი თავის ჯიბისაკენ გააქანებენ სხვის ჯიბეში ნახულ ნივთებს!

ჭინკაი.

წერილები რედაქციის მიმართ.

1904 წელს, ღვინობისთვეში ტალავნიდან ღამით ვიღაცამ პალტო მომპარა; ვინ მოიპარა, კარგა ხანს ვერ გავიგე. გიორგობისთვეში შემთხვევით ვიპოვნე ჩემი პალტო, აი როგორ: ჩემს სახლში იდგა ჩარჩი ბერძენი, რომელიც ყიდულობდა და ჰყიდდა ძველსა და ახალს ტანთსაცმელს. გიორგობისთვეში მის ოთახში მე შევნიშნე ჩემი პალტო კედელზედ ჩამოკიდებული. შევედი ბერძნის ოთახში და, რომ ვკითხე ჩემ პალტოს შესახებ, მან მიპასუხა,—ეს პალტო მე ვიყიდე და, თუ გნებავთ, გიჩვენებთ იმასაც, ვისგანაც ვიყიდეო. მე დავთანხმდი. ჩარჩმა ბერძენმა წამიყვანა და თან გამოიყოლა ერთი პოლიციის ასასი. დაიჭირეს საცოდავი მაწანწალა ბერძენი, რომლის ხელობაც, როგორც თვით პოლიციელისგან გავიგე, ქურდ-ბაცაცობა ყოფილა. ოთხივენი პოლიციაში წაველით—მე, ჩარჩი, ასასი და ქურდი. პოლიციის ბოქაულმა გვინახულა. ჩარჩის გვარი დაიწერეს და გაუშვეს, ასასი პოლიციაში დარჩა, მაწანწალა ბერძენი და ჩემი პალტო დაატუსაღეს. მე ჩვენება დამაწერინეს რუსულად და გამიშვეს სახლში. ამით გათავდა საქმე.

გავიდა დრო და ხანი, ველოდი ჩემს პალტოს, მაგრამ... ქრისტეშობისთვის ბოლო რიცხვებში პალტოს მაგიერ მომივიდა უწყება. „გთხოვენ გამოცხადდეთ გამომძიებლის კამერაშიო“. სამსახურს თავი გავანებე და დანიშნულ დროს გამოვცხადდი გამომძიებელთან. მის წინ დავინახე სტოლზედ ჩემი შეკრულ-შებოჭილი პალტო და გროვა ქაღალდებისა. გამომძიებელმა ჯერ ჩემი ვინაობა გაიგო, მერე შემეკითხა,—ეს პალტო ხომ თქვენიაო. ჩემი პასუხის შემდეგ მან გადაშალ-გადმოშალა ქაღალდები და ხელი მიჰყო წერას. კარგა ხანს სწერა, თითქმის ერთი თაბახი გაავსო, მერე წამიკითხა შინაარსი დაწერილისა და მკითხა: ხომ ასე არისო.—დიახ, ვუპასუხე მე და თანაც დავუმატე: თავს რაზედ იწუხებთ ან თქვენ და ან მე რაზედ მაწუხებთ. გამომძიებელს (რუსი იყო) გაუკვირდა ჩემი შენიშვნა, მაგრამ მე განვაგრძე: მე პალტოს ვსაჭიროებ და არ მაძლევთ; მომცემთ მაშინ, როდესაც ან ჩრჩილი შესჭამს, ან არა და მე აღარ დამჭირდება; ერთი საცოდავი მაწანწალა ქურდ-ბაცაცაც ამის გულისთვის საპყრობილეშია დატუსაღებული, თქვენ კიდევ, აი, რამდენ დროსა ჰკარგავთ და სწუხდებით ამის გულისთვის. ამ გარემოების ბოლო კი აი როგორი იქნება: მე პალტოს დამიბრუნებთ, ქურდს გაუშვებთ და თქვენც განთავისუფლდებით. ერთი ვიკითხოთ: ან ჩემთვის, ან ქურდისთვის და ან თქვენთვის რა არის სანუგეშო? გამომძიებელმა გაკვირვებით შემომხედა და მიპასუხა: კანონს ვასრულებო. მეც გავჩუმდი და, საქმე რომ აღარა მქონდა, წამოვედი სახლში.

გავიდა დრო, გავიდა ხანი და 1905 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში კიდევ დამიბარეს სასამართლოში. დაბარებისამებრ ცხრა საათის ნახევარზედ გამოვცხადდი სასამართლოში. იქ ხალხი ბლომად დამხვდა. ათ საათამდე უსაქმოდ ვიჯექი. მერე კი კარები გააღეს და დარბაზში შევიდნენ საქმის მექონნი, იმათ შორის მეც. მეთერთმეტე საათზედ შემობძანდნენ მსაჯულნი. ჩემი პალტოც ისევ შეკრულ-შებოჭილი სტოლზედ გამოჰკიდეს. იწყეს საქმეების გარჩევა. თორმეტ საათის ნახევარი რომ შეიქმნა, ჯერი მიდგა ჩემს პალტოზე. აგერ ორმა ხიშტიანმა რუსის სალდათმა შემოიყვანა ჩემი პალტოს მომპარავი. საწყალი აღარა გვანდა იმას, როგორიც ვნახე უწინ: თვალებ ჩაცვივნული, ფერმიხდილი, გაყვითლებული იდგა სატუსაღო ადგილზე და უცდიდა „მართლ-მსაჯულთა მართალ მსაჯულებს“. მე მიბძანეს გარეთ გასვლა. რა მოხდა, რით გათავდა საქმე, არა ვიცი-რა. მხოლოდ ეს ვიცი, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ ერთმა პატარა მოხელეთაგანმა (ვგონებ თარჯიმანმა) გამომიცხადა: თქვენ თავისუფალი ბძანდებით და შეგიძლიანთ სახლში მიბძანდეთო. წამოვედი, მაგრამ სულ იმაზედ ვფიქრობდი: ან რისთვის დამიბარეს და ან ჩემს პალტოს რატომ არ მაძლევენ. აი დღეს მარტის თერთმეტი რიცხვია და ჯავრი მამდის, რომ ამდენ ხანს ჩემს პალტოს არ მანებებენ. ვინ უფრო დამნაშავეა, არ ვიცი.

მასწავლებელი ანდრია ს. ბენაშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 მარტი.

ტოკიო, 27 მარტი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ერთი ბატალიონი რუსის ქვეითა ჯარი და 600 კაზაკი დაეცენ ცულინ-ძუს. მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ. მეორე დღეს კაზაკების 24 ასეულმა რამოდენიმე ზარბაზნით განიმეორა იერიში, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნა. იაპონელებმა დაჰკარგეს 10 კაცი, რუსებმა — 60.

პარიზი. გაზ. ,,ტანი“ ფიქრობს, რომ როჟესტვენსკის და ნებოგატოვის ესკადრები შეერთდებიან ათი დღის შემდეგ, მანამდის კი ზღვაში ბრძოლა არ იქმნება, თუ ტოგომ არ ისარგებლა ამ ორი ესკადრის განცალკევებით და შეტაკებას არ დაიჩქარებს.

პეტერბურგი. გაზეთებში აღნიშნულია ადმირალ როჟესტვენსკის მოხერხებული ტაქტიკა. მან აირჩია თურმე სავაჭრო გემების ჩვეულებრივი გზა თავის გემებისთვისაც, ვინაიდან აქ მის გემებს არ მოელოდა არავინ. სავაჭრო გემები არავითარ ცნობას არ იძლეოდნენ ამ ესკადრის შესახებ, ვინაიდან როჟესტვენსკიმ შეისწავლა სავაჭრო გემების თვისება და მათ შეხვედრას ერიდებოდა.

სინგაპური, 27 მარტი. იმ ესკადრაში, რომელმაც აქ ჩაიარა გუშინ, არ სჩანდა გემები: ,,კნიაზ სუვოროვი'', ,,იმპერატორ ალექსანდრე ვტოროი'', ,,ბოროდინო'' და ,,ორელი'' და მათი კრეისერები, ნაღმოსნები და ტენდერები. არ იციან, სად არიან ისინი. ჩაიარა გემებმა: ,,სისოი ველიკი''; ,,ოლეგი'', ,,ადმირალი ნახიმოვი'', ,,დიმიტრი დონსკოი'', ,,ავრორა'', ,,იზუმრუდ'', ,,ჟემჩუგ'', ,,ალმაზ'', ,,რუს'', ,,ალადინ'', ,,ფიურსტ ბისმარკ'', ,,კაიზერინ'', ,,მარია ტერეზია'', ,,ავგუსტა'', ,,ვიქტორია'', ,,კაიზერ ფრიდრიხ'', ,,რიონ'', და შვიდი ნაღმიანი გემი. ყველა გემზე იყო სამხედრო ბაირაღები, სავაჭრო ბაირაღი იყო გემებზე: ,,ვორონეჟი'', ,,იაროსლავი'', ,,ტამბოვი'', ,,ვლადიმირი'', ,,ორელი'', ,,იუპიტერი'', ,,მერკური'', ,,მეტეორი'', ,,კორეა'', ,,კიტაი'', ,,კნიაზ გორჩაკოვი'' და ექვსი ნახშირის მტვირთავი გემი. აქ ჩამოვიდა საფრანგეთის გემი, რომელსაც მოჰყავს ,,ადმირალ ნახიმოვის'' ზღვაოსანი. ეს ზღვაოსანი ჩავარდა წყალში, 12 საათის განმავლობაში დარჩა იქ და ბოლოს ამოყვანილ იქმნა გემ ,,მალაკკაზე''.

ტოკიო. ბალტიის ესკადრის მოსვლამ მალაკის სრუტეში დიდი აღელვება გამოიწვია იაპონიაში. ყველას იმედი აქვს, რომ მალე გადაწყვეტილი ბრძოლა მოხდება.

ლონდონი. როჟესტვენსკის და ტოგოს ესკადრების ამბავი ჯერ დანამდვილებით არ იციან. ფიქრობენ, შეტაკება ამ ორ-სამ დღეში მოხდებაო, საზღვაო კრიტიკოსების აზრით, მომავალი საზღვაო ბრძოლა უდიდესი იქნება ტრაფალგარის ბრძოლის შემდეგ. საფიქრებელია, რომ ტოგო ახლა მოერიდება ბრძოლას, რაკი არა აქვს რეზერვები იმ შემთხვევისთვის, თუ რამდენიმე ჯავშნიანი გემი დაუზიანდა. ფიქრობენ, ეცდება ნაღმოსნებით დააზიანოს ნახშირის მტვირთველი რუსის გემები, რომ გაუძნელოს ამნაირად რუსის ესკადრას ნახშირის მიღება.

ჰონკონგი. ინგლისის კრეისერი „სიუტლი“ მოულოდნელად გავიდა ნავთსადგურიდან, ამბობენ, ბრძანება მოუვიდაო დიდის სიჩქარით გაემართოს სამხრეთისაკენ. მას თან ახლავს ჯავშნიანი გემები „გლორი'' და ,,ოსკანე'' და კრეისერი ,,იფოგენა''.

პენანგი. ინგლისის კრეისერი ,,ტეტის'' მოულოდნელად გაიგზავნა სინგაპურისაკენ.

ტოკიო. ამ დღეებში დაისაჯა სიკვდილით ლიაოიანში ექვსი ჩინელი ავაზაკი, რომელნიც ეხმარებოდნენ რუსებს მათ შემოსევის დროს.

ნიუჩუანი ციციკარში და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ თავს იყრიან მრავლად ავაზაკები და ჩინელი ჯარის კაცები. ფიქრობენ, რომ ისინი აპირობენ რკინის გზის ლიანდაგის დაქცევას.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის ხარკევიჩის დეპეშა უმთავრეს შტაბში 26 მარტის თარიღით: ,,ჯარში ცვლილება არაფერი არ არის''.

ლონდონი. ,,დეილი ტელეგრაფი'' მეთაურ წერილში ამბობს: ჩვენ აღტაცებით ვეგებებით რუსეთის მეფისაგან ამაყად გამოთქმულ სურვილს არ დასთანხმდეს რუსეთის დამარცხებას. სასტიკ ომის შემდეგ დამარცხებული რუსეთი მაინც არ იხრის ქედს გამარჯვებულ მოპირდაპირეს წინაშე. ახლაც რუსების გამარჯვება ზღვაზე საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებდა იაპონიის ჯარს ხმელეთზე და რუსების გენერლებს ჯარის თავმოყრას გაუადვილებდა ახალ კამპანიის დასაწყებად. მალაკის სრუტეში როჟესტვენსკის ესკადრის გასვლა დიდი გმირობა არის. როჟესტვენსკი მეტად ნიჭიერი ადმირალი გამოდგა.

ვაშინგტონი. რუზველტი სცდილობს გაადვილოს ზავის შესახებ მოლაპარაკება არა მარტო კაცთმოყვარეობის გამო. შეერთებული შტატები შიშის თვალით უყურებენ იაპონიის გაძლიერებას და ფიქრობენ, რომ ამის გამო გაძნელდება შეერთებულ შტატებისაგან საპოლიტიკო და სავაჭრო მიზნების მიღწევა. მთავრობის ერთერთმა წევრმა გულ ახდილად გამოუცხადა ,,მორნინგ-პოსტის'' კორესპონდენტს,—უმთავრესად იმას ვცდილობთ შორეულ აღმოსავლეთში, რომ არც ერთმა სახელმწიფომ არ მოიხვეჭოს განსაკუთრებული გავლენა. იაპონიის ბატონობა ჩინეთში ისეთივე საშიშოა, როგორც რუსეთის პატრონობა და ჩვენც ვერ ვუყურებთ გულდამშვიდებით ამნაირ გაძლიერებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკების დროს იაპონია ნამეტანს არ მოითხოვს და არ მოისურვებს ვლადივოსტოკის დასაკუთრებას.

ლონდონი. ინდოეთში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ ახალი ცნობები მოდის. პენჯაბში სრულებით დაიქცა ქალაქი პალანპური,—დაიღუპა რამოდენიმე ასი მცხოვრები. თვით მეფის მოადგილე იძულებული შეიქმნა წასულიყო სიმლას სასახლიდან. ქალაქ კანგრაში საშინლად დაზიანდა შენობები. 4700 მცხოვრებში დაიღუპა 4000.

ნიჟნი ნოვგოროდი.—ბეჭდვითი საქმის საზოგადოება შუამდგომლობს, რომ კანონის ძალით დაწესდეს საკვირაო მოსვენება გაზეთებისთვის.

ტაშკენტი. გაზ. ,,ტაიმს-ოფ-ინდიას'' ცნობები არ არის სწორი. მოსამზღვრე რაზმები ამუ-დარიის სათავეებთან უწინდელ ადგილებზეა დატოვებული, კუშკაშიაც არ არის გაძლიერებული იქაური ჯარები, მორკში რუსებს არ მოუმატებია ახალი ჯარი, ორენბურგიდან ტურკესტანში არ გაუგზავნიათ ჯარები, მხოლოდ აქა-იქ ერთმანეთში შეუცვლიათ ადგილი კაზაკთა ზოგიერთ რაზმებს.

სტამბოლი, 27 მარტი. 70 კაცისაგან შემდგარ მეამბოხეთა ჯგუფთა 24 მარტს ჩასაფრდა პატარა ჭალაში, სოფრადოვიცაში, და სეტყვასავით დაუშინა ყუმბარა მეცხოვრებთ. მოუკლავთ მაშველნი. პორტას ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებას, რომ მეამბოხეთა ჯგუფნი პრიზრენს ემუქრებიანო; გამოძიებით გამოირკვა, რომ 19 მარტს ტაბანოვიჩაში 4 სერბიელ მოკლულთაგან 2 ავაზაკი ყოფილა.

ჰელსინგფორსი, 27 მარტი. ერობის მოხელეებმა გადასწყვიტეს, წინადადება შეიტანონ 16 მარტს გამოცემულ მანიფესტის შესახებ, რომლის ძალითაც შეჩერებულ იქმნა 1901 წლის წესები სამხედრო ბეგარის მოხდის თაობაზე და გაუქმებულ იქმნა 1902 წლის დადგენილება სამოსამართლო უწყების თანამდებობის მოხელეთა სამსახურიდან გადაყენების წესრიგის თაობაზე. ერობის მოხელენი იმ აზრისანი არიან, რომ მანიფესტი წინამორბედია სხვა ღონისძიებათა, რომელიც ერობის მოღვაწეთ პეტიციაში იყო მოხსენებული და რომელიც იმისკენ იყო მიმართული, რომ ფინლანდიის ხალხს დაბრუნებოდა მტკიცე და სამართლიან საფუძველზე აგებული წესიერება და უფლება-უპირატესობანი. დაუყოვნებლივ გასარჩევ საქმეთა ეხლავე განსახილველად ერობის მოღვაწენი აუცილებელ საჭიროებად სთვლიან, რომ სეიმმა მოქმედება შესწყვიტოს შემოდგომამდე; ამის თაობაზე შუამდგომლობენ კიდეც.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი,
ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ი. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.);
2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.);
3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 марта 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.